645
1959

საბჭოთა ქალი

№ 4 აპრილი 1959 წ.

ნახატი ნელი კანდელაკის

გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას

ანა კალანდაძე.

ო. იდუმალი არხევს კვიპაროსს...

ლამაზი სული ქარით, ფოთლებით,
თვისი სიმშვიდით და შეშფოთებით,
ქლიავისა და ატმის ტოტებით
საგაზაფხულო მიწას შორდება...
და ზამბახები ჩუმი ეტლებით
და ბეთანიის ლურჯი იები,
ანგელოსები პერგამენტებით
ღრუბლებისაკენ მიაცილებენ...
«მთვარეულ შუქთა მკრთალი მძივებით»
აქ ყველაფერი ისევ სავსეა...
ის დაბრუნდება მთვარის სხივებით
ისევ, პირიმზევ, ეს ხომ ასეა?
შენ უცნაური ფერით ენთები...
მას ბეთანიის ლურჯი იები
მარადისობის პერგამენტებით
მიაცილებენ, მიაცილებენ...
უკვდავი სული მშვენიერების
საუფლოშია ლურჯა ცხენების,
მარადისობის ღრუბლად იფარვის
და იდუმალი არხევს კვიპაროსს...

შენ უკვდავების სარ ბინადარი

ვ. ი. ლენინი — ქანდაკება ნ. ტომსკის

0437

ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის!

გულახდილად, დაუფარავად გეტყვის ყველა: ადრეც ვმეგობრობდით, მონდომებით ვშრომობდით და ხშირად ერთადაც ვატარებდით თავისუფალ დროს. ბრიგადის რომელიმე წევრის წარმატება როგორ შეგვშურდებოდა! რაც უნდა იყოს, მას ხომ საბოლოოდ ჩვენი ბრიგადის სახელი უნდა დაემშვენებინა. მაგრამ ეს წარმატება მაინც «სხვისი» იყო და ამიტომ საერთო სიხარულის გამომწვევ მიზეზად არა კმაროდა. წარუმატებლობა კი, რა თქმა უნდა, გვეწყინებოდა, მაგრამ... ეს იყო და ეს. ცოტა ხნის შემდეგ ის აღარავის ახსოვდა.

ამას დაუფარავად, გულახდილად გეტყვის ყველა, დაფიქრებული და თავდახრილი. მერე შუბლს გაიხსნის, სითბოჩამდგარ თვალებს ამაყად გაგისწორებს, გაგიღიმებს და მხიარულად, დამაჯერებლად გიამბობს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველთა იმ ბრიგადის დღევანდელ დღეზე, რომელსაც კომუნისტი დ. ალიბეგაშვილი ხელმძღვანელობს.

სათქმელს, რა თქმა უნდა, იქედან დაიწყებს, როცა მათმა ბრიგადამ მხურვალედ დაუჭირა მხარი მოსკოველი ახალგაზრდობის შესანიშნავ თაოსნობას კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესახებ, როცა ბრიგადის თხუთმეტმა წევრმა—თხუთმეტმა მოწინავე ქალმა, ფაბრიკის რადიოკვანძიდან, კედლის გაზეთიდან თუ მუშამოსამსახურეთა საერთო კრების ტრიბუნიდან მთელ ფაბრიკას ამცნო გადაწყვეტილება—იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად.

მერე ახალი ვალდებულებანი, შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი საშუალებების ძებნა, მეტი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ბრიგადის სხვა წევრებისადმი, ერთმანეთზე ზრუნვა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, წაქეზება, დახმარება... და ყოველივე ამის შედეგად ერთი დიდი ოჯახი—მეგობრული და მოსიყვარულე, ენერგიული, მოუღლელი და სიხარულდაულეველი.

* * *

საამქროს ერთ ნაწილში, საქსოვი დაზგების გამაყრუებელ ხმაურსა და დგიმების თვალშეუსწრებ მოძრაობაში სწრაფად, დაკვირვებულად მუშაობს თხუთმეტი ქალი. *ქალიო, —ვიტყვით, თორემ აბა რა* ქალობა ეთქმის ამ შავთვალა გოგონას ვეებერთელა მანქანასთან ცეროდენად რომ მოჩანს! ეს ამალია მამაჯანოვაა, ამ დიდი ოჯახის ყველაზე ახალი წევრი. დაამთავრა თუ არა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ამალიამ მაშინვე აქ დაიწყო მუშაობა. ეს 3—4 თვის წინათ იყო, როცა ბრიგადა უდიდეს შრომით აღმავლობას განიცდიდა. თავიდანვე მუყაითობა გამოიჩინა, ყველაფერს გამოცდილი მქსოველივით ართმევდა თავს. მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეეჩვია პიკეს ქსოვისას ძაფის გაწყვეტის შემჩნევას. კიდევ კარგი, ხშირად მიხედავდა ხოლმე ალა გოლოვკოვა, სწრაფად გამოიყვანდა ძაფს და მოღრუბლულ გოგონას მოთმინებით უხსნიდა ქსოვის სხვადასხვა წვრილმანს. ახლა ამალია უფრო დაკვირვებული გახდა, სხვისი დახმარება უკვე აღარ სჭირდება, მაინც ფრთხილობს, უნდა სხვასაც ასიამოვნოს, წაეხმაროს. კმაყოფილნი არიან მეზობელ დაზგებზე მომუშავენი, მაგრამ როცა თავისუფალ დროს იკრიბებიან, ამალიას დაუზარებლობასა და ხელმარჯვობასაც ახსენებენ.

* * *

ისევ გუგუნებენ მანქანები. ისევ თვალშეუსწრებლად მოძრაობს თხუთმეტი წყვილი ხელი. თვითეული მქსოველი სამ დაზგას ემსახურება, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მეხუთე კურსის სტუდენტი ლილი ხიბაშვილი კი ოთხდაზგოსანია. გაგიკვირდებათ, როგორ ართმევს თავს ეს ქალიშვილი სწავლას, შრომას, საზოგადოებრივ მუშაობას. აგიტატორიც, ყველა გართობის წამომწყებიც ის არის! სწრაფად, მსუბუქად, დაუძაბავად დასტრიალებს თავს დაზგებს. ნელა, შეუმჩნევლად ემატება მეტრს მეტრი ახალი, მაღალხარისხოვანი ქსოვილისა...

მაგრამ აი, რაღაცამ დაარღვია მუშაობის რიტმი. ეს მტყორცნელი გატეხილა. ლილის, როგორც მათი ბრიგადის ყველა სხვა წევრს, შეუძლია ქვეოსტატის დაუხმარებლად შეცვალოს მტყორცნელი. და განა მარტო ეს? თუნდაც მაქო ავიღოთ. მას ბევრი წვრილმანი აქვს და ამ წვრილმანებში გარკვევა იოლი როდია, მაგრამ მის შეკეთებაშიც გაიწაფეს ხელი დიადი სახელისთვის მებრძოლი ბრიგადის *წევ*-რებმა. ტყუილად როდი ივალდებულეს წვრილი საზეინკლო სამუშაოების ჩატარებას შევისწავლითო. ზოგჯერ საქმე უფრო რთულდება და მქსოველს არ შეუძლია დაზგის შეკეთება, მაგრამ იგი იმას მაინც ხვდება, თუ რამ გამოიწვია შეფერხება. ქვეოსტატს აღარ სჭირდება ჯერ დაზიანების გამორკვევა, შემდეგ კი საჭირო იარაღის შერჩევა, ამან დაზოგა დრო, რამაც შრომის ნაყოფიერების ზრდა გამოიწვია.

დროის მოგებისა და უფრო მოხერხებულად მუშაობის მიზნით გადააჯგუფეს დაზგებიც. შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველაზე მტკიცე საფუძვლად კი თვით ბრიგადის წევრებს ერთსულოვნება მიაჩნიათ. «ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის!»—ასეთია მათი მუშაობის ძირითადი პრინციპი.

აი, ჟენია შარუბანაშვილის გვერდით მომუშავე დაზგის მასრაზე ძაფი ჩამოთავდა. დაზგა გაჩერდა. საჭიროა მაქოს გამოცვლა. ამ დაზგაზე მომუშავე თამარ ნეკრიაჩი კი მეორე დაზგასთან საქმიანობს. განა ერთი წუთით დაფიქრდა ჟენია? მერე რა, რომ იმ დაზგაზე თვითონ არ მუშაობს. მაქოს შეცვლა სჭირდება და ჟენიაც აღარ აყოვნებს. ამით მან თავის დაზგასთან 2—3 წუთი დაკარგა, სამაგიეროდ მეგობარს 5—8 წუთი დააზოგვინა. და ეს დაზოგვილი წუთები საერთო საქმეს არ ხმარდება?

* * *

— ბარაქალა თქვენს ქალობასო,—ხშირად იტყვის ბრიგადირი დავით ალიბეგაშვილი და დაკვირვებით ჩაუვლის მწკრივებს. ზოგი თავაუღებლად მუშაობს, ზოგი კი რაღაცას უხსნის ახალმოსულ მოწაფეს მომავალ მქსოველს.

და ყოველთვის, როცა დავითი თავისი ბრიგადის საქმით გართულ ქალებს მოსცილდება, სიამაყით იხსენებს თებერვლის იმ დღეებს, ექვსი მქსოველი რომ გაუხდათ ავად. ექვსი მქსოველის მოცდენა რამდენიმე დღით! ეს ჩამორჩენის, ე. ი. თავის შერცხვენის აშკარა მაუწყებელი იყო. მაგრამ ამას ვინ შეურიგდებოდა? ქალიშვილები ოთხ-ხუთ დაზგას დაუდგნენ გვერდით, საქმეს ცეცხლივით დაუტრიალდნენ... და თებერვლის გეგმაც ბრიგადამ გადაჭარ*ბებით შეასრულა.*

ფოტო შ. ჩხეტიანის.

კიდევ ბევრი კარგი აგონდება დავითს. ერთხელ ლილი ქოჩოროვა არ დაემორჩილა, დაზგიდან სტანდარტული ნაჭერი არ ამოიღო და ქედმაღლობა დაიწყო. ამან მთელი ბრიგადის წყრომა დაიმსახურა. შესვენებაზე სახელდახელოდ შეიკრიბნენ. მაყვალა ფსუტურმა, ლუიზა ღვინიაშვილმა, ნანული სულთანიშვილმა მკაცრად გაკიცხეს ლილი ქოჩოროვას საქციელი. ლილის მეგობარმა რაისა ხინჩიკაშვილმა კი ყველაზე მეტი სიმკაცრე გამოიჩინა: შენში მოვტყუვდი, შეგნებული ადამიანი მეგონეო... ლილის სათქმელი აღარა ჰქონდა რა. მოიბოდიშა, პატიება ითხოვა.

* * *

კარგია მეგობრებთან ერთად დასვენება, გართობა, საინტერესო წიგნისა თუ ნახული კინოფილმის გარჩევა. ეს პირადი გამოცდილებით იციან ბრიგადის წევრებმა. თავისუფალ დროს ისინი ხშირად ერთად არიან, მსჯელობენ, კამათობენ. ერთმანეთის სიხარულს იზიარებენ.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალ დროშას, ფულადი საჩუქრით დაჯილდოვდა. მათ შორის დ. ალიბეგაშვილის ბრიგადის წევრებიც იყვნენ.

ეს სიხარული მთელმა ბრიგადამ გაიზიარა, დატრიალდნენ ქალიშვილები, რაისა ხინჩიკაშვილთან მოიყარეს თავი, დიასახლისობაშიც იმარჯვეს და მთელი საღამო იმხიარულეს.

მერე კი ერთმანეთს გამოუტყდნენ:—პირველად რომ კომუნისტური ბრიგადის სახელისათვის დავიწყეთ ბრძოლა, ერთმანეთს თითქოს მოვალეობის გრძნობით ვეხმარებოდით. ნაკისრი ვალდებულებანი გვახსენდებოდა და თითქოს ამიტომ ვცდილობდით უწუნოდ გვემუშავა. ახლა კი ურთიერთდახმარება, მეგობრობა, შრომის სიყვარული და გამრჯე მარჯვენის დაფასება ჩვევად გადაგვექცა და ეს ყველაზე კარგი შენაძენიაო.

აბა როგორ არ დავეთანხმოთ შრომაში, საქმეში დამეგობრებულ თხუთმეტ ფეიქარს, რომ ეს მართლა და დიდი, სასახელო შენაძენია—ამაღლებული, გამამხნევებელი, რწმენითა და სიხარულით აღმვსები...

მზია კოტბეერიძე.

ნახატი ელისო მაყაშვილისა

მწვანე ოქროს მაძიებელი

ევგენია ხუნდაძე.

ტანმორჩილმა ქალმა ჭკვიანი, თაფლისფერი თვალები აღმოსავლეთს მიაპყრო. ცის ტატნობი ვარდისფრად შეღებილიყო. ბამბასავით თეთრი ღრუბლის პაწია ნაფლეთს გვერდი შეწითლებოდა. მზე ამოდიოდა. მონოტონურად ხმაურობდა ზღვის ტალღები და დასავლეთიდან ლბილი, მსუბუქი ნიავი უბერავდა, ქალის ჩაფიქრებულ კეთილ სახეს ელამუნებოდა, ქერა თმებს უწეწავდა. ქალი გარესამყაროს ყურადღებას არ აქცევდა, საცდელ ნაკვეთში წასასვლელად ემზადებოდა და მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: «როგორ თვისებას გამოავლენს მიჩურინელი სელექციის წესების მიხედვით გამოყვანილი ახალი ქართული ჩაი, როგორი იქნება მისი მოსავლიანობა და ყინვაგამძლეობა, რა შედეგს მოგვცემს მწვანე ფოთლის ქიმიური ანალიზი?»

ქალი ღელავდა და არც უსაფუძვლოდ. ჩაის მცენარე ხომ მით უფრო მაღალი ხარისხისაა, რაც უფრო მეტ ტანინსა და ექსტრაქტულ ნივთიერებებს შეიცავს მისი ფოთოლი, უხვ მოსავალთან ერთად მცენარე მაღალხარისხოვან ნედლეულსაც უნდა იძლეოდეს, მაგრამ ამ მხრივ შერჩევა ძნელია, მცენარის ხარისხის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ძნელია, მაგრამ სიძნელისა როდი ეშინოდა გაბედულ მეცნიერ ქალს—ქსენია ბახტაძეს, როცა ჩაის ახალი ქართული ჯიშების გამოყვანას ცდილობდა. ღელავდა, მაგრამ მეცნიერულ სიდინჯესა და მოთმინებას როდი ღალატობდა. მან ხომ სიძნელეებთან, დაბრკოლებებთან ჭიდილში დაიწყო ცხოვრება და ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუპოვრად მიიკვლევდა გზას, ცოდნისა და მეცნიერების ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობდა.

... თბილისელი რკინიგზელი ერმალოზ ბახტაძე და მისი მეუღლე ნატალია ჩარკვიანი ცდილობდნენ ყველა პირობა შეექმნათ შვილისთვის, მაგრამ არ დასცალდათ. თორმეტი წლის ქსენიას მშობლები გარდაეცვალა და ნათესავების მზრუნველობის იმედითღა დარჩა. ჭკვიანი გოგონა მთელი არსებით დაეწაფა სწავლას. 1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ბოტანიკურ ბაღში პრეპარატორად. ქალიშვილი კვლავ სწავლობდა, კვალიფიკაციას იმაღლებდა, ახლად ეცნობოდა სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს, იქვე დასპეციალისტდა სელექციისა და მეთესლეობის დარგში და გულმა საქართველოს მიწსახკომის ყარაიაზის საცდელი სადგურისკენ გაუწია.

* * *

1926 წელს საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა აღდგენითი პერიოდის დასასრულს უახლოვდებოდა. ისახებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პერსპექტივები, მტკიცე საფუძველი ეყრებოდა ტექნიკური კულტურების განვითარებას. საკუთარი წარმოების ჩაით ქვეყნის დაკმაყოფილება მნიშვნელოვან პრობლემად გადაიქცა. ამ საქმემ გაიტაცა ქსენია ბახტაძე. მან მუშაობა დაიწყო «საქჩაიში» უფროს მეცნიერ-მუშაკად, მაგრამ ნამდვილი ძიება უშუალოდ პლანტაციებში შეიძლებოდა, და 1927 წლიდან იგი გადავიდა ჩაქვის საცდელ სადგურში, რომელიც 1930 წლიდან ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი გახდა.

ინსტიტუტის მუშაკებს მრავალი სერიოზული პრობლემა ჰქონდათ გადასაწყვეტი. ჩაის კულტურა შავი ზღვის სანაპიროს ახალ რაიონებში უნდა გავრცელებულიყო. ამისათვის აუცილებელი იყო ნიადაგის შერჩევა, თესლი, ადგილობრივ კლიმატურ პირობებთან კარგად შეგუებული ჯიშები... და აი, აჭარის, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს სოფლებში გამოჩნდნენ ჩანთაგადაკიდებული აგრონომები და აგროტექნიკოსები, რომლებიც სინჯავდნენ ნიადაგს, იკვლევდნენ ჩაისათვის ნაკვეთების ვარგისიანობას, საცდელად თესავდნენ ჩაის თესლს, მაგრამ ასეთი ცდა ხშირად სავალალოდ მთავრდებოდა, თესლი არ აღმოცენდებოდა...

ჩაის თესლის ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთიდან—ჩინეთიდან, ინდოეთიდან, იაპონიიდან, ცეილონიდან შემოჰქონდათ. მართალია, თესლი ხშირად უვარგისი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ვარგისსაც უძნელდებოდა აღმოცენება, რადგან ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს არ შეეფერებოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში იქმნებოდა ჩვენში მეჩაიეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. ქვეყნის საკუთარი თესლით უზრუნველყოფა გადაუდებელი ამოცანა გახდა.

ჩაქვში გამოიყო სათესლე ნაკვეთები და დაიწყო საკუთარი თესლის გამოყვანა. ქსენია ბახტაძემ გამოსცადა თესლის გამოყვანისა და შენახვის ხერხი, ყველაზე უკეთესი მისი ტრანშეებში შენახვა გამოდგა.

1929 წელს გამოიცა ქ. ბახტაძის პირველი მეცნიერული ნაშრომი «ჩაის თესლის შეფუთვისა და შენახვის გამოცდილება», ხოლო 1932 წელს—«ჩაის თესლი და სათესლეები». უკვე კარგა ხანია რაც საბჭოთა მეჩაიეებს საკუთარი თესლი აქვთ და მისი იმპორტი საჭირო აღარ არის. მაგრამ მეჩაიეობის სხვა პრობლემებიც მოითხოვდა გადაწყვეტას.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ქსენია ბახტაძის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გაჩაღდა. შერჩეულ იქნა საუკეთესო მცენარეები, მათი სამეურნეო ღირებულების ყველა მაჩვენებლის მიხედვით. შემოღებულ იქნა ხელოვნური დამტვერვა, რაც ამაღლებს თესლის თვისებებს და აუმჯობესებს შთამომავლობას. წლების მანძილზე წარმოებული ცდების შედეგად 1941 წელს ქსენია ბახტაძემ პირველმა გამოიყვანა სამამულო ჩაის ახალი სელექციური ჯიშები—«ქართული პირველი» და «ქართული მეორე», რომლებიც სათანადო შემოწმების შემდეგ მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულმა ტექნიკური კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიამ და დაიწყო მათი წარმოებაში დანერგვა. «ქართული პირველი» მაღალი ხარისხისაა, «ქართული მეორე» უფრო უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლეა. მათი აღმოჩენით განსაკუთრებით კმაყოფილი არიან ჩაის მკრეფავები, რადგან ეს ჯიშები დაახლოებით 20 პროცენტით აადვილებს მკრეფავის შრომას, 30—35 პროცენტით აჭარბებს წარმოებაში არსებული არასელექციური ჩაის ჯიშების მოსავლიანობას, იძლევა საუკეთესო ხარისხის პროდუქციას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ქსენია ბახტაძემ 1948 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი «ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა», რომელშიც შეჯამებულია მისი მთელი წინანდელი კვლევის შედეგები და განზოგადებულია ცდებით მიღებული მონაცემები. მან ჩინებულად დაამუშავა ჩაის ახალი სელექციური ჯიშების გამოყვანის მეთოდი. ამის გამო სახელოვან მეცნიერს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება და მიეცა პირველი ხარისხის პრემია. ამან კიდევ უფრო წაახალისა ენერგიით აღსავსე მკვლევარი, მან დაწერა მთელი რიგი ახალი შრომები—«ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის საფუძველი», «ჩაის კულტურის განვითარება სსრ კავშირში», «ჩაის ფოთლის თვითღირებულების შემცირების გზები» და სხვ. მის კალამს ეკუთვნის 60 მეცნიერული ნაშრომი და მრავალი სტატია, რომლე-

ბიც გამოქვეყნებულია ცენტრალური, მოკავშირე რესპუბლიკებისა და უცხოეთის პრესაში.

ქსენია ბახტაძე არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

* * *

170 ჰექტარზეა გაჯრცელებული ჩაის გაუმჯობესებული საფოთლე პლანტაციები. თვალს იზიდავს და გულს ახარებს მსხვილი, პრიალა ფოთლოვანი დუყები. კამკამა ცის ფონზე მოჩანან გორაკების ლამაზი კონტურები. კარგად ნაკეთებ, უხვმოსავლიან ჩაის მწკრივებს მოუხატავს ზურმუხტოვანი ფერდობები. მკრეფავები ხალისით ასრულებენ თავიანთ საქმეს. მათთან დგას სახეგაბრწყინებული, დინჯი და ამავე დროს დაუცხრომელი მეცნიერი ქსენია ბახტაძე, იგი თვალყურს ადევნებს მინდვრის სამუშაოებს, რჩევა-დარიგებას აძლევს მეჩაიე მეგობრებს. ასეა ყოველდღე. დღის პირველ ნახევარში დგება დღიურები, კეთდება ჩანაწერები. დღის. მეორე ნახევარში ქსენია ლაბორატორიაშია, აინტერესებს მონაცემები.

ხუთ ჰექტარზეა გაშენებული სასელექციო სანერგე, 35 ჰექტარზე გადაჭიმულა ჩაის სათესლე პლანტაცია, წელს კიდევ 15 ჰექტარი გაშენდება, რაც დიდ როლს შეასრულებს ჩვენს რესპუბლიკაში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების საქმეში. მალე ჩაის კიდევ უფრო გაუმჯობესებული ჯიშები გვექნება. ისინი უფრო გაფართოებენ ჩაის რაიონებს კრასნოდარის მხარეში და აზერბაიჯანში, უზბეკეთსა და იმიერკარპატის უკრაინაში. აკადემიკოს ბახტაძის მიერ აღზრდილი ათასობით სპეციალისტი განაგრძობენ მუშაობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სოჭის საცდელი სადგურის ტუაპსეს საყრდენი პუნქტის გამგე ვალერია ევტაფეევა, დასავლეთ უკრაინის უჟგოროდის უნივერსიტეტის ლექტორი ივანე ბუბრიაკი, აზერბაიჯანის მრავალწლიან ნარგავთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მამედოვი მამედ ალი აბდული ცივი კლიმატის პირობებში ჩაის ახალი ჯიშების გავრცელების საქმეს ემსახურებიან. ჩაის კულტურის დანერგვისათვის დიდ მუშაობას ეწევა ქსენიას მიერ აღზრდილი, აკადემიკოს შრედერის სახელობის ტაშკენტის მევენახეობა-მეხილეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ნადეჟდა ბურნაევა. თვით ჩაქვის ფილიალში დიდ საქმეს აკეთებს მეცნიერთა მძლავრი კოლექტივი ვალერიან გვასალიას, დავით ჩხაიძის ვახტანგ კუტუბიძის, კარლო თავდუმაძის, გივი რამიშვილის, ალფესი ტრაპაიძისა და სხვათა შემადგენლობით.

ქსენია არ ივიწყებს თავის აღზრდილებს, ადგილზე ამოწმებს მათი კვლევითი მუშაობის ნაყოფს. გასული წლის სეზონზე მან მოიარა კრასნოდარის მხარის ჩაის პლანტაციები და სხვა ადგილები...

კომუნისტი მეცნიერი ქალი აქტიურად მონაწილეობს პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. არის პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ქობულეთის რაიკომის პლენუმის წევრი, ლექტორი, საინტერესო ლექციებს კითხულობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მისი ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა მოწონებით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე.

— ეს დიდი სტიმულია ჩემთვის, — ამბობს ქსენია.

* * *

მეცნიერის მყუდრო ბინა წიგნების ნამდვილი სამყაროა. აქვე აწყვია უცხოური ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც მოთავსებულია ცნობები აკადემიკოს ბახტაძის ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის შესახებ. ზოგშიც მისივე სტატიაა გამოქვეყნებული. ინდოეთის ჟურნალ «ჩა კი ბაკის» 1957 წლის ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია ქ. ბახტაძის სტატია «როგორი ჯიშის ჩაი არის გავრცელებული სსრ კავშირში». სტატიას წამძღვარებული აქვს რედაქციის განმარტება, რომელშიც ნათქვამია: «აკადემიკოსი ბახტაძე კარგად არის ცნობილი საქართველოში. მისი გამოყვანილი ჩაის სხვადასხვა ჯიშები ფართოდაა გავრცელებული». 1959 წელს ქსენიამ სპეციალური შეკვეთით ცეილონის პრესისათვის დაწერა წერილი «ვუსურვებ წარმატებებს ცეილონის მეჩაიეებს». მისი იქ ყოფნის დროს ცეილონის ჟურნალ-გაზეთებში ბევრი კარგი რამ დაიწერა ბახტაძეზე. რაოდენ საინტერესოდ მეტყველებენ ინდოეთში. ცეილონში, ავღანეთში, ბულგარეთში ქსენიას მოგზაურობის შედეგად შექმნილი ფოტოალბომები.

ფოტო ი. დავითაშვილის.

საქართველოში ჩაი ჩინეთიდან შემოვიდა, მაგრამ ჩინელები ახლა ხალისით იზიარებენ ჩვენს მიღწევებს. აკადემიკოს ბახტაძის ძირითადი ნაშრომები თარგმნილია ჩინურ ენაზე. ჩინურ ენაზე ამჟამად დასაბეჭდად მომზადებულია ბახტაძის წაშრომი «ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა». ჩინელი მეცნიერის, კანტონის უნივერსიტეტის პროფესორის ჯუან ვან-ფაის წიგნს «ჩაის კულტურა» ბახტაძემ გაუკეთა რედაქცია და დაუწერა წინასიტყვაობა. ნიჭიერმა ქართველმა მეცნიერმა ხანგრძლივი და დაუღალავი ძიების შედეგად მიღწეული გამარჯვებებით მსოფლიოში გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას:

— 32 წელია ჩაის საკითხებზე ვმუშაობ და ისე გაირბინა ამ წლებმა არც კი შემინიშნავს, — ამბობს ქსენია და იღიმება. იგი ისევ მომავალზე ფიქრობს, ახალი მასალები დაუგროვებია და სურს დაწეროს დიდი კაპიტალური შრომა თემაზე «საბჭოთა ჩაი». მასში მოცემული იქნება მთელი განვლილი მუშაობის მეცნიერული განზოგადება.

... ახლა ჩაი აღარ ყვავილობს. ბუჩქები გაფოთვლას ელოდებიან. ფაფარაყრილ ზღვის გულიდან ღრუბლები წამოშლილა. აგორებული ტალღების ხმაური ქსენიას ფანჯრებს აწყდება. ჯერ კიდევ ცივა, მაგრამ დაუცხრომელი მეცნიერის გულში დიდი შემოქმედებისა და დაჟინებული შრომის ჩაუქრობელი ცეცხლი ანთია.

ალექსანდრა ჩხენკელი

მხატვარი ნათელა იანქოშვილი

მოთხრობა

ბინდი ნელნელა იკრიფებოდა მიწიდან, თბილისი თვალს ახელდა, ფართო ასფალტიან ქუჩაზე დინჯად მიაბოტებდა კალათებითა და ხურჯინებით დახუნძლული ტვირთმზიდავი. მიდიოდა ნელა, სვენებ-სვენებით.

— შენი შვილი ექიმია?.. პროკურორი? ინჟინერი?—ეკითხებოდა იგი მალიმალ შავებში ჩაცმულ მოხუც ქალს, გვერდით რომ მისდევდა.

— ინჟინერია კი, შვილო, მაგრამ დირექტორად მუშაობს, დააწინაურეს, აბა...—პასუხობდა მოხუცი დაბნეულად და თან გაოცებით შესცქეროდა მრავალსართულიან სახლებს, ამწვანებულ ქუჩებსა და ტრამვაი-ტროლეიბუსების მოძრაობას.

ექვსი წელი სრულდებოდა. რაც ესმა უკანასკნელად იყო თბილისში, შხოლოდ ექვსი წელი და ასეთი საოცარი ცვლილება... მაშინ მარინე ჩვილი იყო. სულ რამდენიმე თვისა. დედა დაეღუპა და ესმამ აღსაზრდელად წაიყვანა სოფელში. «ახლა კი ენაცვალოს ბებია... გაზრდილ ქალს ჩაუყვანს მამამისს, როგორ გაეხარდება... მაინც როგორ აიყარა ტანი ამ ბოლო წელიწადს, დამშვენდა, დედას ემსგავსება, მასავით შნოიანი იქნება...» ესმამ უკან მოიხედა, ბავშვი რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩენოდა, იდგა და გაპრიალებულ ავტობუსს შესცქეროდა.

— მარინე, გამოიარე ჩქარა!..—დაუძახა ესმამ ბავშვს. გოგონა სირბილით დაეწია. მაგრამ ცოტახნის შემდეგ ისევ შეჩერდა. ამჯერად მისი ყურადღება ახლადნაშენმა, ჩუქურთმიანმა სახლმა მიიპყრო. «ჩემი ვახტანგი,—განაგრძობდა ფიქრს ესმა,—ჰიგველის?.. რომ არ მიმიწერია!... განგებ არ შევატყობინე, უეცრად რომ დაგვინახავს, უფრო გაეხარდება, ვენატრებით, ალბათ, ბავშვი განსაკუთრებით...»

— შენ მითხარი ახლოსაააო, აბა ეს არის ახლოს?—შეაწყვეტინა ფიქრი ესმას ტვირთმზიდავმა.

— კი, ნენა, კი, შენი ჭირიმე, ახლოს არის, აბა... აი იმ ქუჩას რომ ჩავათავებთ და მარცხნით შევუხვევთ, ორსართულიანი სახლი რომ არის, იქ ცხოვრობს ჩემი ვახტანგი.

«ჩემი ვახტანგი...—გაჰყვა ისევ ფიქრებს ესმა,—ენაცვალოს იმას დედა, ახლა ცოლიც შეირთო. საცოდავი ნათელა!... კარგი იყო, მაგრამ რომ არ დაცალდა!... ესეც კარგი იქნება, ცუდს რავა შეირთავდა ჩემი ვახტანგი... ლამაზიაო, ლამაზი იქნება, აბა რა!

ქუჩა ჩაათავეს და მარცხნივ შეუხვიეს.

— აი, მივედით კიდევაც. ის სახლი პირდაპირ რომ ჩანს, ჩემი ვახტანგისაა.—«ძინავთ, ალბათ, ფარდები ჩამოფარებულია. რა იქნება რომ გაიღოს ფანჯარა და...» ფიქრობდა მოხუცი.

უეცრად მართლაც გაიღო ფანჯარა, ახალგაზრდა კაცმა გამოიხედა, ყურადღებით დააცქერდა მგზავრებს, შემდეგ ოთახში შეიმალა და იმავ წუთს კიბეებზე გაჩნდა.

«ის არის, ის... ჩემი იმედი, სიხარული. ენაცვალოს დედა».—მოხუცმა ქურციკივით აირბინა კიბეები.

— დედა...

— შვილო...—ისინი ერთმანეთს ჩაეხვიენ. კარგა ხანს იყვნენ ასე. ბოლოს ისევ დედა გაეცალა, თავით ფეხებამდე შეათვალიერა შვილი, ისევ მოეხვია, გულში ჩაიკრა.

ვახტანგი ახლა ბავშვს მიუბრუნდა. ბუმბულივით აიტაცა ხელში, გულში ჩაიკრა, დაკოცნა. ესმას ბედნიერების ცრემლები სდიოდა თვალთაგან.

— ელიკო...—შებრუნდა ვახტანგი ოთახში,—დედა ჩამოვიდა ბავშვით, გაიღვიძე, გენაცვალე, წამოდექი.—ჩასჩურჩულა მან ჯერ ისევ მძინარე ცოლს.

ელიკო ზანტად შეინძრა, გადმობრუნდა, ოთახს თვალი მოავლო, გარედან ხმაური მოესმა, ვიღაცას ბარგი შემოჰქონდა აივანზე. «მართლა ჩამოსულან...» წამოიწია, ხალათი გადაიცვა, ატლასის ქოშებში ფეხი გაუყარა და გავიდა.

საშუალოზე უფრო მაღალი, თმათეთრი, მაგრამ წელში ისარივით გამართული შავებით მოსილი მოხუცი და ცისფერთვალება, ოქროსფერკულულებიანი ახალგაზრდა ქალი პირისპირ იდგნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს იყო წუთით. მოხუცმა რძალს გაუღიმა, გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა.

ელიკო ბავშვს დააცქერდა—ყვავილებით დაჩითული გრძელი კაბა, შინნაქსოვი, მაღალყელიანი შალის წინდები, უბრალო ჩუსტები და კისერზე მოხვეული შალი მოხვდა თვალში.

მარინე ბებიას აკვროდა კაბაზე და დამფრთხალი შველის ნუკრივით შესცქეროდა ძვირფას ხალათიან ლამაზ ქალს.

— მიდი, ნენა, მიდი დედასთან,—მიუბრუნდა ესმა ბავშვს. მარინე არ განძრეულა. ელიკომ წარბი შეიკრა, სამზარეულოში გავიდა და შინამოსამსახურესთან გააბა საუბარი.

ესმამ ხურჯინებს თავი მოხსნა და ათასნაირი ხილი და სანოვაგე დაალაგა მაგიდაზე.

— ეს ცხრა ჯანჯუხა, ტკბილისკვერი და სანთლის არაყი ნათლია ნინომ გამოგიგზავნა, ხაჭაპურები და ჭყინტი ყველი მამიდა თეკლემ, ქათამი და ყურძნის ჯაგნები შენმა ნათლი დედამ, ბადაგი და ნაცარა ვაშლები კესარიამ... ჰო, მართლა, ეს ინდაური და ბოთლით ტყემალი დესპინემ მოგართვა, შენმა ძიძამ—«ნენა, ისე ნუ მომკლავ, რომ არ მნახო, ერთი ჩამოირბინე თუ გინდა რა იყოს, დამანახე შენი ლამაზი სახეო.»—ამბობდა მოხუცი და მაგიდაზე აწყობდა დაკლულ ქათმებსა და ინდაუ-

რებს, ჭყინტ ყველსა და ხაჭაპურებს, ნაცარა ვაშლებსა და ყვითელ კომშებს, სანთლის არაყსა და ყურძნის ჯაგნებს, რომელთაც თან გამოყოლოდა სოფლის სურნელება.

პატარა ხნის შემდეგ ყველანი მაგიდასთან ისხდნენ და მხიარულად შეექცეოდნენ საუზმეს.

მარინე თვალს არ აშორებდა ელიკოს. მოსწონდა მისი ჩინური ხალათი, გაფრენილი ჩიტები რომ ეხატა ზედ, ოქროსფერი კულულები, ბროლის ყელი, თეთრი ფაფუკი ხელები და სისხლისფერი ფრჩხილები, რაც მას არასდროს არ ენახა.

«რა ლამაზი კაბა აცვია დეიდა ელიკოს, თითონაც რა ლამაზია... ესმა ბებია სულ ამბობდა—ელიკო დეიდა ლამაზი და კეთილიაო, დედასავით მოგივლისო...»

«რა სასაცილო ბავშვია, ღმერთო ჩემო, ოდნავი მიმზიდველობაც არა აქვს. სულ დედასა ჰგავს, მისი ასლია... თხის კუდივით არა აქვს ნაწნავები გაშვერილი ყურებთან?.. უხასიათო იქნება, რა გაუძლებს მაგას, მე ჩემიც არ გავიჩინე, ახლა ეს ვიღაცის დატოვებული უნდა ვზარდო? სასჯელია, აბა რა»—ფიქრობდა ელიკო.

* * *

ბევრი ახალი ამბავი მოიტანა ესმამ სოფლიდან. ახლა, თურმე, სოფელი ის აღარ არის, წინათ რომ იყო, ვახტანგის ბავშვობისას. ყველაფერი გამოცვლილა, გარდაქმნილა, ხალხი გამდიდრებულა.

— წამლად რომ გინდოდეს, წამლად, ვერ ნახავ ჩვენს სოფელში ისლიან და ყავრიან სახლს. ქეა გადაჭიკჭიკებული ყველაფერი ცინკითა და წითელი კრამიტით. ოჯახი არ არის, რომ რადიო არ ედგას სახლში. საიდან გაჩნდა ამდენი განათლებული ხალხი. მთელი ქალაქი მოეშურება სოფლისაკენ. ყველას უყვარს თავისი კუთხე, სამშობლო, აბა!.. დალოცვილ ღმერთს ასე გაუჩენია, ჩიტიც კი ეძებს თავის ბუდეს, საიდანაც აფრინდა... ესმა ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ ისევ განაგრძო.— ისე, ნენა, არც ასე მიტოვება ვარგა ოჯახის. ხანდახან რომ ჩამოირბინო და მოინახულო შენი კუთხე-მეზობელი ცუდი არ იქნება..

— რა ვქნა, დედაჩემო,—მოიბოდიშა უხერხულად ვახტანგმა,—დრო არ მიწყობს ხელს, ერთი წუთიც არა მაქვს მოცალება, წარმოებაა და ბევრ მუშაობას მოითხოვს. დღეს ხომ კვირაა და ქვეყანა ისვენებს, მე იქ უნდა ვიყო, წესით, მაგრამ... ცოლი მარტო მყავს შინ მიტოვებული. სულ მესაყვედურება ელიკო. თავის ტოლ-ამხანაგებში თუ გაერთობა, თორემ მე მისთვის აღარ მცალია. ზოგჯერ რომ დავფიქრდები, ვამბობ: არც უნდა მეთხოვა ცოლი, ჩემისთანა მოუცლელ კაცს ცოლი რად უნდა!

— აჰ, უცოლობა რავა ვარგოდა, კაცს ოჯახი უნდა, მყუდრო ბინა, ნენა!

— არა, კი არ ვნანობ, მაგრამ... ისე ყოველმხრივ კარგი ადამიანია, ცნობილი ვექილის აფრიდონიძის ქალია, თითონაც იურიდიული განათლება აქვს. ჰო და, ვიფიქრე ჩემს მარინეს კარგად გამიზრდის მეთქი..,

— კი, ნენა, კი, ახალგაზრდა კაცი ხარ, ისე რავა იქნება, ცხოვრება გინდა, შვილო, მემკვიდრე... — ესმას თვალები გაუბრწყინდა მემკვიდრის ხსენებაზე.

— მაგის შესახებ შენ მოელაპარაკე ელიკოს,—უთხრა ხმადაბლა დედას ვახტანგმა და რაღაც უჩურჩულა ყურში, რაც გაუგებარი დარჩა მარინესათვის.

ესმას სახე შეეცვალა, მოიღრუბლა ვახტანგის სიტყვებზე, ცოტა ხანს მდუმარედ იჯდა, შემდეგ ისევ გაწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა:

— ისე, ნენა, ამ ჩაის ფოთოლმა კი ააშენა სოფელი. ათ, ოც, ოცდაათ და ორმოც ათასებს იღებენ წლიურად. ახლა მანეთებს და თუმნებს

კი არავინ ახსენებს, ათასებზეა ლაპარაკი. რაღა დაგიმალო, შვილო და მეც ქე მიდევს წილი საერთო საქმეში. წავახმარე ხელი პატარ-პატარა დღეს, ხვალ, ზეგ და კაი ოთხმოცი დღე დამიგროვდა.

— რას ამბობ, დედაჩემო, მართლა?...

— მართლა, შენ ნუ მომიკვდები, შვილო!

— რა გაგვიჭირდა სამაგისო, მერე!...

— არა, გაჭირვების საქმე როდია, კი არავის დაუძალებია, ნენა, მაგრამ რატომ უნდა ვიყო გამოთიშული ჩემს მეზობლებში. გარდა მაგისა, შრომა სახალისოც არის; «უშრომელ კაცს ობი მოეკიდებაო»— იტყოდა მამაჩემი. ხალხმა კარგად იცის ყველაფერი, შრომაც და შრომის დაფასებაც.

— კი მაგრამ, მაინც რატომ უნდა შეიწუხო თავი,—არ ცხრებოდა ვახტანგი.—ყველაფერი ბევრი გვაქვს, ერთი გამოგონება მიიღეს ჩემი და ოცდაათი ათასი მომცეს პრემია. ახლა კიდევ მეორე მაქვს წარდგენილი. ახალ ბინასაც მპირდებიან, მაშინ სულ არ გაგაჩერებ სოფელში, წამოგიყვან ჩემთან, ცივ ნიავს არ მოგაკარებ... ელიკოც ამ აზრის არის.

— თქვენ მოგახმაროთ ღმერთმა, შვილებო, ყველაფერი. მე ჩემი საყოფი სახლიცა მაქვს და კარიც.

«უუ, რამდენი ფული ჰქონია მამიკოს, გაიფიქრა ბებიას გვერდზე ატუზულმა მარინემ. ბებიას რომ ამდენი ფული ჰქონდეს... ესმა ბებია ხომ ამბობდა: «ფული რომ მქონდეს ოდას დავხურავდი, ბოძებს შევუყენებდი, რკინის ჭიშკარს დავკიდებდი, ღობეს შევაკეთებდიო.»

* * *

მეორე საღამოს ელიკოს მეგობრებმა მოიყარეს თავი. ხუმრობა, სიცილი, სიმღერა, მოსწრებული სიტყვები გადაება ერთმანეთს. ბევრი მეხოტბე გამოუჩნდა სანთლის არაყსა და გურულ ჩურჩხელებს.

«რას შვება ახლა ჩემი დედოფალა?... შია... ცივა... საბანი ხომ დავახურე, საჭმელიც დავუტოვე... ფისო, ის საძაგელი, ისა!... როგორ გაჩეჩა იმ დღეს დედოფალა, აბურთავა და აბურთავა... მაგრამ ბებომ ხომ მიბეგვა, ისე უნდა»... ფიქრობდა კუთხეში მიმჯდარი მარინე და თან საჩვენებელი თითით გულმოდგინედ იჩიჩქნიდა ცხვირის ნესტოს.

— უი, ღმერთო!—წამოიყვირა ელიკომ მარინეს დანახვაზე და ბავშვთან მიიჭრა.—აბა, რას აკეთებ, რასა? ამხელა გოგო ხარ და არა გრცხვენია... ცხვირში თითს რა უნდა, ხომ იტყვიან სტუმრები სოფლის გოგო ყოფილა, გაუზრდელიო!—დააყარა სეტყვასავით ელიკომ ბავშვს, უხეშად წაავლო ხელი და სამზარეულოსაკენ გააქანა. მოულოდნელად სამზარეულოს შესასვლელთან ფეხი წამოკრა რაღაცას, წაბორძიკდა, მოპირდაპირე კედელს კინაღამ დაეჯახა. ანერვიულებულმა ბავშვს ისე მწარეთ უჩქმიტა, რომ გოგონამ ცივი ხმით იწივლა.

— სუუ,— დააფარა ხელი ტუჩზე ბავშვს ელიკომ,—ტირილი არ გამაგონო! აქ სოფელი ხომ არ გგონია, მტირალა ბავშვებს იჭერენ. მამამ არ გაიგონოს, თორემ გცემს, მერე რა ავია მამა, რომ იცოდე!

«ვაიმე, რა ვქნა, ტირილს რომ გაიგონებენ, ხომ მიხვდებიან ბავშვს ცემაო», ფიქრობდა გაანჩხლებული ელიკო.

მაგრამ ბედად ამ დროს ოთახში ვიღაცამ როიალის კლავიშებს ჩამოჰკრა თითები და აახმიანა. მუსიკის ხმებს ფეხის მსუბუქი მოძრაობაც აჰყვა. მარინეს ტირილი მუსიკის ხმებმა შთანთქა.

ელიკომ შვებით ამოისუნთქა.

* * *

მარინე მალიმალ იცვლიდა გვერდს. ვერ ისვენებდა, მარტო რომ იწვა ლოგინში. მართალია, საწოლიც უფრო რბილი იყო, თეთრეულიც უფრო სუფთა, ვიდრე სოფელში, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა მი, თვალებს... თითქოს ბებიაც გამოიცვალა, სხვანაირი გახდა, აი აქა წევს და ხმასაც არა სცემს. აქ ყველანი სხვანაირები არიან, მამიკო, ისიც სხვანაირი ყოფილა, აბა რად მითხრა ელიკო დეიდამ—მამა გცემსო. ესმა ბებიას ხომ არასდროს უცემია ჩემთვის!... ელიკო დეიდა.. უუ, რა ავი ყოფილა, როგორ მატკინა ხელი!...

იმ ღამესაც გვიან ჩაეძინა მარინეს. ხედავს აი, აგერ ფისომ საბანი გადახადა მის დედოფალას.

«ფისო, შე საძაგელო, შენა, აბა რასა შვრები, რასა? არა გრცხვენია ...მაგრამ ფისოს არა სცხვენია, აბურთავებს დედოფალას ზევით-ქვევით. მარინე კვნესის, ბორგავს, ყვირის: ესმა ბებია, ბებო, ბებიაა!...»

— რა იყო, ბებია გენაცვალოს? — წამოდგა ესმა, მარინესთან მივიდა.

— ხედავ, რა ქნა ფისომ, როგორ გაჩეჩა ჩემი დედოფალა, აი, ნახე, აი!..

— დაწყნარდი, ბებია გენაცვალოს, აქ ფისოს რა უნდა, შვილო, ჩვენ ხომ თბილისში ვართ, ფისო კი სოფელშია.

მარინე ყელზე მოეხვია ბებიას და ყურში უჩურჩულა:

— ესმა ბებია, შენ რომ წახვალ, მეც ხომ წამიყვან სოფელში, აა!?..

— უი, მოგიკვდეს ბებიაშენი, რა თქვი ეგ, ნენა, შენ იქ რა გინდა, აქ უნდა დარჩე, აქ უნდა ისწავლო!

— მე აქ არ მინდა, ელიკო დეიდა მცემს, დღეს კიდევ მიჩქმიტა, ვახტანგი მამაც ავი ყოფილა, ცემა ცოდნია...

— სუუ, ნენა, სუუ, არა თქვა ეგ მეორეჯერ, დაწყნარდი, დაიძინე!

* * *

არც ვახტანგს სძინებია მშვიდად იმ დღეებში. დედის ჩამოსვლამ და სოფლის ამბებმა ბევრი რამ გაახსენა: მამის სიკვდილი, ობლობა, სიღარიბე, ფეხშიშველი რომ დასდევდა თხებს ეკალ-ბარდებში. შემდეგ სწავლა, წარმატებები, ნათელას გაცნობა, მეგობრობა, სიყვარული, დაქორწინება, და მწარე დასასრული. ეს ხომ ვახტანგის გუშინდელი დღეა, ფერფლწაყრილი ამბები.

დღეს კი ვახტანგი ერთერთი წარმოების წამყვანი ინჟინერია, გამომგონებელი. ყავს ლამაზი ცოლი, აქვს ბევრი ფული, კარგად მოწყობილი ბინა.

«საცოდავი დედაჩემი... რამდენი წვალება გამოიარა თავის ცხოვრების გზაზე—სიქვრივე, სიღარიბე, შიმშილი, მაგრამ ცხოვრების საჭე მაინც არ გაუგდია ხელიდან.»

* * *

დილიდანვე მოწყენილი იყო ესმა. ნათელას სურათი იმ უბედურ დღეებში რომ გაადიდებინა ვახტანგმა, სააბაზანო ოთახში ნახა მიგდებული. სახე დასერილი ქონდა, ზედ მელანიც გადაესხათ. ესმას განზრახული ჰქონდა იმ სურათის წაღება სოფელში: «დაე, ბავშვი იცნობდეს თავის დედის სახეს» ფიქრობდა ის, მაგრამ ვიღაცის ბოროტმა ხელმა ჩაუშალა ეს განზრახვა. ესმას ბოღმა მოაწვა ყელში, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გულში ჩაიკლა ყველაფერი.

გვიან გამოვიდა საწოლიდან ელიკო. თმადახვეული, ძვირფას ხალათში კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა იმ დილით.

— ღმერთო ჩემო... როგორ დამძინებია, წუხელ თვალი არ მომიხუჭავს, ძილი გამიტყდა, ამ დილით ჩამთვლიმა მხოლოდ,—დაიწყო ელიკომ შემოსვლისთანავე.—საოცარი უძილობა დამჩემდა ამ ბოლო დღეებში.

ელიკო შეჩერდა, ოთახს თვალი მოავლო, შემდეგ ესმა შეათვალიერა და ისევ განაგრძო:

— დავიღალე, ძალიან დავიღალე, ერთი ადამიანი გაუძლებს ამდენ საზრუნავს? ფიქრმა მომკლა, სხვა რომ არ იყოს. ერთი დამტვრეული საწოლისა და რამდენიმე ფეხმოტეხილი სკამის მეტი არა დამხვედრია რა, ახლა კი! რამდენი რამ შევიძინეთ, ეს ავეჯი, საწოლები, «ვიტრინკები», ძვირფასი ჭურჭელი, ყველაფერი მე შევარჩიე და ჩამოვიტანე, ცოტა შრომა უნდოდა ყველაფერ ამას!?

— რას იზამ, შვილო, ცოცხალ კაცს საზრუნავი არ გამოელევა არასდროს,—თქვა ესმამ.

— ჰო, ჯერ კიდევ რამდენი რამ გვჭირდება. ეს რას გვეყოფა, ახლა ახალ ბინას გვპირდებიან, ხუთ ოთახს და მრცხვენია, არ ვიცი რა შევიტანო შიგ.

მოსამსახურემ ჩაი გააწყო და სასადილო ოთახში შეიწვია ისინი.

— ჩემი ამხანაგები კი ისე არიან მოწყობილი, რომ თითს ვერ შეყოფ მათ ბინაში, აგარაკიც აქვთ ზღვაზე, მთაში და სად არა. ვახტანგი კი არაფერზე ფიქრობს, სულ არაფერზე, სტუმარივით შემოდის სახლში. ახლა ბავშვიც ჩამოიყვანა, თქვენც პატრონობა გჭირდებათ.

— არა, ნენა, მე რაღა მინდა აწი, რაღა დამრჩენია ამ წუთისოფელში, ცალი ფეხი სამარეში მიდგას.

— ჰო და, სამარეში რომ გიდგას ცალი ფეხი, სწორედ იმისათვის გინდა პატრონობა.

— კი, ჩემო ნენა, მაგრამ არც ისე დავარდნილი ვარ ჯერჯერობით ვინმე რომ შევაწუხო,—უპასუხა ესმამ ნაწყენი კილოთი.

«ჰმ, კიდეც ჭრის და კიდეც კერავს»—გაიფიქრა უკმაყოფილოდ ელიკომ.—რავა გეკადრებათ, ბატონო, ჩვენ ვინმე ვართ!?..

— ვინმე არა ხართ, მაგრამ... ჩემი საყოფი მე ყველაფერი მაქვს, სახლიც, კარიც, საჭმელიცა და სასმელიც...

— ჩემი, თქვენი ვინ გაყო. ჩვენ ერთნი არა ვართ?...

— ერთნი ვართ, რა თქმა უნდა, გასაყოფი რა გვაქვს, აბა მიწაში ხომ არ ჩავიტან, მაგრამ... მაგრამ, სანამ ცოცხალი ვარ და სული მიდგას, ჩემი ოჯახი... ჩემს ოჯახს...—ენა დაება ესმას.

ელიკო მოიღრუბლა. «ჰმ, რა ჯიუტი დედაბერია, ნახე რას ამბობს—სანამ ცოცხალი ვარო. მაგი იქნება დიდხანს აპირებს სიცოცხლეს, მანამდე მე ასე ამომივიდეს სული უაგარაკოდ, თბილისში?»

უმადობა მოიმიზეზა ელიკომ, მესამე ჭიქა ჩაიზე უარი განაცხადა, ცივად წამოდგა, საწოლ ოთახში გავიდა და ჩაცმა დაიწყო. წასვლისას კარი გაიჯახუნა.

* * *

საღამოზე ადრე დაბრუნდა შინ ვახტანგი. შემოაღო კარი თუ არა, იქვე შედგა. ესმა ბარგს ალაგებდა, ცარიელ ქილებსა და ბოთლებს აწყობდა. თავს უკრავდა კალათებსა და ხურჯინებს.

— ეს რა ამბავია, დედაჩემო, რასა შვრები?...

— არაფერს, ჩემო ნენა, ვემზადები.

— წასასვლელად?...

— ჰო, წასასვლელად, კი...

— რას ამბობ, დედაჩემო? ჩვენ ხომ შეთანხმებული ვიყავით, ამ ზამთარს...

— კი ვიყავით, მაგრამ არ გამოვიდა კარგად, ოჯახი დამექცევა, სადაც არის თოვლს ჩამოყრის, მიხედვა უნდა...

ვახტანგმა ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში.

— ჰმ, რასა გავს ახლა ეს? რას იტყვიან სოფელში? ერთ კვირასაც არ გააჩერა დედაო. ყველაფერს რძალს დააბრალებ, ხომ?... საწყალო ელიკო...

ესმამ თავი ასწია და შვილს თვალებში შეხედა:

— რას ამბობ, შვილო ვახტანგ, ვინ გამიბედავს მე ჩემი რძლის აუგს, არ მიცნობ თუ?—უთხრა შვილს მკაცრად.

— კარგი, ვთქვათ ეგ არაფერი... ბავშვი, ბავშვს რაღას უპირებ?...

— ბავშვი შენია, ნენა და როგორც გინდა ისე მოიქეცი.

მარინემ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, ბებიასთან მივიდა და კაბის კალთაზე აეკრა.

— მომისმინე, დედაჩემო.—უთხრა დაყვავებით.—რა დასამალავია. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს შენი წამოყვანა სოფლიდან, განა არ გეყო ამდენი შრომა? დასვენება ხომ გინდა? რატომ უნდა იყო სოფელში მარტოდ-მარტო? არ ჯობს რომ ჩვენთან იყო მოსვენებით? აგარაკსაც ვიყიდით მალე. ზამთარში თბილისში იქნები, ზაფხულში აგარაკზე გაგამგზავრებთ. ჭამე, სვი და იცხოვრე შენს ნებაზე.—ვახტანგი ცოტახანს გაჩუმდა.—ელიკო სულ იმას ჩამჩიჩინებს, დედა წამოვიყვანოთ, სოფელს მოვაშოროთო. შენ არ იცი, რა კეთილია ელიკო, სულს ჩაგიდგამს პირში.

ესმამ თავი ასწია და შვილს მშვიდად უპასუხა:

— ვიცი, ნენა, ვიცი, ელიკო კარგია და კარგი გინდათ ჩემთვის, თქვენს მეტი რა გამაჩნია ამ ქვეყნად, მაგრამ მაგი არ იქნება, ოჯახს ვერ დავტოვებ, ფუტს ვერ ჩავაქრობ, სანამ ცოცხალი ვარ. ისიც მეყოფა, შენ, რომ დაივიწყე შენი კერია...

ვახტანგს სიწითლემ გადაუარა სახეზე.

— რა ფუტზე ლაპარაკობ, დედაჩემო? ფუტი წყალს წაუღია, შენ თუ არ იქნები, სულ გავაუქმებ, სულ გავყიდი იმ სახლკარს.

ესმას ბოღმა მოაწვა ყელში, საფეთქლები დაებერა, ხელები მოუდუნდა, ცოტახანს მდუმარედ იყო, შემდეგ წამოიწია, წელში ისარივით გასწორდა და თვალები შეანათა შვილს:

— სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, ჩემს ოჯახს, ჩემი ქმრის კარ-მიდამოს ვერვინ გაყიდის და ვერც გააუქმებს. იმას არ ვათქმევინებ ჩემს მტერ-მოყვარეს, რომ ქაიხოსრო ახალკაცს უღირსი ცოლ-შვილი დარჩა, ოჯახი დააქციეს, ვერ უპატრონეს, ყველაფერი გააცამტვერესო. რომ მოვკვდები და აღარ ვიქნები, მაშინ!...

ესმას სიტყვა გაუწყდა, რაღაც გაეხირა ყელში, ხველა აუვარდა.

* * *

— ესმა ბებია, ესმა ბებია...

— რა იყო, ბებია გენაცვალოს!?

— ახლა რომ სოფელში ჩავალთ და მარტო ვიქნებით, ხომ დამაწვენ შენთან, აა?...—ჩაეკითხა მარინე ბებიას, როდესაც მარტონი დარჩნენ «კუპეში».

— კი, შვილო, კი, გენაცვალოს ბებიაშენი, აბა რას ვიზამ.—უპასუხა ბავშვს დაყვავებით ესმამ.

ესმა კვლავ ფიქრს დაუბრუნდა.

მას ჯერ ისევ ნათლად ედგა თვალწინ ვახტანგის ლამაზი ცოლი, მდიდრულად მოწყობილი ოთახები და საბაზანო ოთახში მიგდებული ნათელას სურათი.

ახლა სოფელი ამოტივტივდა მის ცნობიერებაში და თვალწინ წარმოუდგა ჩელტის ძველი ჭიშკარი, დამტვრეული ღობე, ცალ გვერდზე შაფერდებული წაბლის დიდი ოდა.

ნინო ჩხეიძე

როდესაც შეხედავ მის უზომოდ დაფიქრებულ თვალებს და მოისმენ უკვე მიმქრალ, მაგრამ საოცრად მელოდიურ ხმას, შენდაუნებურად გაიფიქრებ—არა, წლებს ვერ წაართმევიათ ის ჯადოსნური ძალა, რომელზეც ამდენი დაწერილა და გაგვიგონია!

მერე, როცა ეს პატარა მოხუცი ქალი გაგიღიმებს და გეტყვის: «თეატრში? არა, არ დავდივარ დიდიხანია... უწინ მიჭირდა, ახლა შევეჩვიე... რას იზამ, სიბერე...» და შეგაკრთობს მისი გაფართოებული და თითქოს აცრემლებული თვალები, ცხადი გახდება მსახიობის ბედნიერებისა და ტრაგედიის საიდუმლოება.

ჩვენი ნუცა, სათაყვანებელი ნინო ჩხეიძე... ვისაც ჰქონია ბედნიერება ერთხელ მაინც ენახა იგი სცენაზე, რამდენს ამბობს მისთვის ეს სახელი, ალბათ.

პირველი დიდი ტრაგიკოსი ქალი, რომელმაც ქართული თეატრი დიდი თეატრების სცენას გაუტოლა! და არათუ გაუტოლა — წლების განმავლობაში კამათობდნენ, ვინ სჯობდა—ვერა კომისარჟევსკაია თუ ნუცა ჩხეიძე, და რამდენად დიდია მისი მარგარიტა სარა ბერნარის მარგარიტაზე. მიმბაძველობას ავყიანნიც კი ვერ სწამებდნენ. რადგან ნუცა ჩხეიძემ, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ ხანმოკლე მოგზაურობის დროს ვერ მოახერხა უცხოელი ვარსკვლავები ენახა და არც რუსეთის სცენის ოსტატთაგან უსწავლია რაიმე. მისი მასწავლებლები ლადო მესხიშვილი, ეფემია და კოტე მესხები იყვნენ, ხოლო მისი სცენიური ტექნიკის სკოლა პრაქტიკა იყო. თუმცა სცენიური ტექნიკა მისთვის არასოდეს ყოფილა ამოსავალი წერტილი.

ნინო ჩხეიძე იყო დიდი განცდის, გრძნობის მსახიობი. «თუ როლს არ განვიცდიდი, მაშინ ჩემი შესრულება ყალბი იყო.»—იგონებს იგი. ამ პატარა ქალის ჯადოსნური ტალანტი ისეთ ცეცხლს დაანთებდა სცენაზე, ისე დაიფერფლებოდა, რომ ცრემლად დაღვრილი მაყურებელი ფარდის დაშვების შემდეგ კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდა. არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება მაყურებელზე ნუცა ჩხეიძის სასწაულებრივი ზეშოქმედების დასამტკიცებლად. თვით პროფესიონალებიც კი მისი დიდი განცდის «მსხვერპლი» გამხდარან. არაერთხელ «ბევრი ცრემლი დამიღვრია მე პირადად ნუცასაგან იმ როლის თამაშობის დროს, რომელსაც ოდესღაც მე ვთამაშობდი»,—წერს ეფემია მესხი. წლობით ინახავდნენ მისი კაბის ნაფლეთებს, პროგრამებს, რომელზეც ნუცა ჩხეიძის სახელი ეწერა.

ნინო ჩხეიძე იყო ქართული თეატრის სინდისი, «სასიქადულო ნიმუში მაღალი ნიჭის და ზნეობრივი სიძლიერის კეთილშეზავებისა»—როგორც უწოდეს მას 1919 წელს, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე. და მართლაც, თუ კი იმ დროს ვინმე ზრდიდა და აფაქიზებდა ქართული საზოგადოების სულს, ავითარებდა მის ესთეტურ გემოვნებას, ერთი ასეთი ნუცა ჩხეიძეც იყო.

რა იყო ამ პატარა ქალის ასეთი დიდების მიზეზი?

მომხიბვლელი სცენიური გარეგნობა, მელოდიური, ნიუანსებით მდიდარი ხმა, მომაჯადოებელი ემოციურობა და ტემპერამენტი, დიდი შინაგანი სითბო, ნათელი გონება და საქმის სიყვარული.

ნუცა ჩხეიძე არასოდეს თამაშობდა, იგი ცხოვრობდა სცენაზე, ამასთან ყოფილა ყოველთვის საოცრად ბუნებრივი. მის ხელში თვით უსუსტესი სახეებიც კი ქანდაკებასავით იძერწებოდნენ და დიდი ხელოვნებისაკენ მიისწრაფვოდნენ. დრამატურგის ვიწრო ჩანაფიქრში ნინო ჩხეიძე ეპოქის მტკივნეულ საკითხებზე ეძიებდა პასუხს... თუმცა როლს თუ აკეთებდა—ეს მსახიობის განუმეორებელი ტალანტის ძალითა და ინტუიციით ხდებოდა.

ნინო ჩხეიძისთვის თეატრი იყო სამლოცველო წმიდათაწმინდა, კერპი, თვითონ კი—თავდადებული მსახური, მონა, თაყვანისმცემელი.

პირველად 1893 წელს ეზიარა სცენას 12 წლის ნუცა. მამამისი—ვექილი პლატონ ჩხეიძე დიდად წყალობდა თეატრს და მეუღლესა და უფროს ქალიშვილს მარიამს ნებას რთავდა წარმოდგენებში მონაწილეობა მიეღოთ. იმ წელს ლადო მესხიშვილის ბენეფისი იყო დანიშნული. დგამდნენ ჯიაკომეტის «დამნაშავის ოჯახს». მარიამს უნდა ეთამაშნა პატარა ქალის—ემას როლი, მაგრამ შემთხვევით ავად გახდა და ემა ნუცას ათამაშეს. «როგორ ვითამაშე არ ვიცი, მაგრამ მხურვალე ტაში ძივიღე. ეს საკმარისი იყო, რომ ბავშვურ სიამაყეს გაეღვიძნა... მესხიშვილმა და კოტე მესხმა თავზე ხელი გადამისვეს, მომიალერსეს და ჩემი ბედიც გადაწყდა—ამიერიდან თეატრს ვეღარავინ მომაშორა»—იგონებს ნინო ჩხეიძე.

15 წლის ნუცა უკვე თბილისის პროფესიული თეატრის დასშია, დებიუტი აქვს დ. ერისთავის «სამშობლოში», ასრულებს ფაიხოშს. პირველი დიდი როლი პროფესიულ თეატრში და პირველი დიდი ქება «ივერიის» ფურცლებზე: «უეჭველია, ქ-ნ ჩხეიძის ასული ძვირფას და ახლად გაშლილ ყვავილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თეატრის თაიგულში, რომელიც... გვარიანად შემჭკნარია».

მაგრამ დედაქალაქის თეატრში ნინო ჩხეიძე უფრო სტუმარი იყო. ქუთაისის სცენაზე აიდგა მან ფეხი და აქვე იქმნებოდა მისი შედევრების უმრავლესობა. ბუნებით სათნო და ლმობიერი ნუცა ხელოვნებაში საოცრად პრინციპული იყო. არასოდეს თამაშობდა პიესაში, რომელიც მის მხატვრულ გემოვნებას არ პასუხობდა, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ნუცას გმირების პლეადა მხოლოდ ორასს თუ აღწევს. თვალი გადავავლოთ იმ სახეებს, რომლებმაც ნინო ჩხეიძე ქართული თეატრის სიამაყე გახადა.

ზეინაბი სუმბათაშვილის «ღალატში». ნინომდე ზეინაბს იგებდნენ, როგორც მტრის ძალით დათრგუნვილ დედოფალს. ნუცამ ახალი სული ჩაუდგა თურმე ამ როლს. «უსმენდით, უმზერდით ნინო ჩხეიძეს და მრავალტანჯული საქართველო გესახებოდათ, მასთან ერთად იტანჯებოდით, მასთან ზეაღიტაცებოდით.» ნინოს ზეინაბი გაღვიძებული საქართველოს სუნთქვა იყო, ქართველი დედების მრავალსაუკუნოვანი ცრემლი, თავისუფლებას მოწყურებულ მამულიშვილთა ბრძოლის ყიჟინა... ფინალში მსახიობი ერთ ფრაზაში ამოხეთქავდა შინაგანი ძალების დაგუბებულ გაშმაგებას: «ხმა, მონავ, განა შენ მე მომკალი?» აქ ზეინაბი სისხლის დანახვაზე გაოფორებულ ავაზას ემსგავსებოდა. ასეთი ზეინაბი ქართულ სცენას არ ახსოვს.

მარგარიტა გოტიე—ნუცა ჩხეიძის ხელოვნების მწვერვალი. ამ როლზე იმდენი დაიწერა, რომ უნახავადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ნუცა—მარგარიტა. მარგარიტა გოტიე ერთი იმათგანი იყო, რომლებიც უკუღმართმა სოციალურმა გარემომ ჭაობში ჩააგდო. მარგარიტას ცნობილი სიტყვები! «ხელს არ გაწვდიან რომ

„ღალატი“—ზეინაბი

ამოხვიდე და ადამიანი გახდე»—ნინო ჩხეიძისთვის როლის გაგების გასაღები იყო. ნინოს მარგარიტა იყო ქალი, არა კონკრეტულად პარიზელი, არამედ საერთოდ ქალი, მისი უბედობითა და ვაებით. ნუცას პარიზელი მეძავი უფრო უმანკო ქალიშვილს მოჰგავდა. რამდენი სიფაქიზე, რამდენი სინაზე გამოსჭვიოდა ყოველ მის მოძრაობაში, ლაპარაკში... ძნელია იმის თქმა, სად იყო უფრო ძლიერი ნინო ჩხეიძე—ჟორჟ დიუვალის წასვლის შემდეგ, როცა მისი გმინვა დედამიწის კვნესას, დაჭრილი ვეფხვის ღმუილს ჰგავდა, თუ ბალზე არმანთან შეხვედრისას, ან მაშინ, სიკვდილის პირს მდგომი რომ გაიგებს არმანის მოსვლას. ერთი შეკივლება და მისი განუმეორებელი ვედრება «ნანინ, ჩქარა ექიმი...» აქ მსახიობის ტანჯულ სიხარულს დარბაზი ვეღარ უძლებდა და როცა არმანის მკერდზე მიყრდნობილს, პატარა ხელი მტრედის მოტეხილ ფრთასავით ჩამოუვარდებოდა, მარგარიტასთან ერთად გაოგნებულ მაყურებელსაც ეყინებოდა ძარღვებში სისხლი. ნინო ჩხეიძეს მარგარიტა

„უბედური ნაბიჯი“—ვარვარა მიხაილოვნა.

გოტიეს დრამა ანტიკური ტრაგედიის სიმაღლემდე აჰყავდა.

მაგრამ ტრაგიკოსი მსახიობის სახელი ნინო ჩხეიძეს მედეამ დაუმკვიდრა, სუვორინისა და ბურენინის ამავე სახელწოდების პიესაში. პიესა დაწერილი იყო არგონავტების ცნობილი მითის მიხედვით. ნუცა ჩხეიძის მედეა მკვდრეთით აღმდგარი მითოლოგიური კოლხეთი იყო, მთელი მისი სიმშვენიერითა და მომხიბვლელობით, «შმაგი ზღვის ქაფგან ნაშობი ასული»... მედეას თავს დაატყდა უბედურება—უარყვეს. შურისძიებით შეპყრობილი ქალი ჯადოქარად იქცა.

„მარგარიტა გოტიე“—მარგარიტა.

«ჩვენი სახელი უბედურებაო» ამბობს იგი და როცა შემდეგ სცენაზე შემოიჭრება თმაგაწეწილი, დანით ხელში, რომლითაც ახლახან დაკლა თავისი შვილები, მთელი სამყაროს წინააღმდეგ აბობოქრებულ დედას, სატრფოს, ქალს, თვით ყალყზე შემდგარ უბედურებას მოგაგონებდათ მართლაც. ეს მომენტი თავზარდამცემი ყოფილა.

ა. კარეევის «უბედურ ნაბიჯში» ნუცა გვევლინება უდიდეს რეალისტად, უბრალო ქალიშვილის მორალურ თვისებებს და მის უკანასკნელ გაბრძოლებას მეშჩანურ სამყაროდან თავის დასაღწევად ნინო ჩხეიძე ისეთი მხატვრული სიმართლით გადმოსცემდა, რომ წლების განმავლობაში ვარვარა მიხაილოვნა ქართული თეატრალური საზოგადოების აღფრთოვანების საგანი იყო.

«სიმახინჯეში» ნინო ჩხეიძეს თავისი სუსტი მხრებით თითქოს მიჰქონდა ადამიანის ცხოვრების სევდა და შავბედი. სონა მანეკენი იყო, საითაც უბიძგებდნენ, იქით მიდიოდა, ამან დაღუპა სწორედ იგი. დიალ ამბობდა ნუცა, თუ არ შეგიძლია იბრძოლო ბედნიერებისათვის, უნდა დაიღუპო. როდესაც მახინჯი საბა სონას ხელს ჰკიდებს და მიჰყავს საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილი, ნუცა მკვდარ პატარძალს მოჰგავდა თურმე.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალის სახენორა, იბსენის ამავე სახელწოდების პიესიდან. ჩვენ, ქალები ადამიანები ვართ, თქვენი თანატოლი, ისეთივე ძალისა და ნიჭის მქონენი, როგორც თქვენ, მამაკაცები... მე ადამიანი ვარ უპირველესად, მერე ქალი, დედა და მეუღლე, —ამბობს ნორა, წართმეული, დაკარგული ადამიანობის მაძიებელი ქალი.

უფრო გვიან ნინო ჩხეიძე ქმნის ორ ბრწყინვალე სახეს—ფრუ ალვინგს ჰ. იბსენის «მოჩვენებებში» და კრუჩინინას ა. ოსტროვსკის პიესაში «უდანაშაულოდ დამნაშავენი», მისი კრუჩინინა არაჩვეულებრივად ადამიანური და კეთილშობილური იყო. არც არასდროს არ ყოფილა ნუცა ისე ზომიერად ფრთხილი, როგორც კრუჩინინას შესრულებისას. ოდნავი გრძნობის გადაჭარბება და შეიძლება რეალისტურის მაგივრად სახის მელოდრამატული გადაწყვეტა მიეღოთ. კრუჩინინაში ნინო ჩხეიძეს ჰქონდა ბევრი ისეთი მომენტი, როგორიც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია შექმნას: მუროვთან საუბარი, ან თუნდაც ყველასათვის ნაცნობი—«სად არის ჩემი შვილი?»

ნინო ჩხეიძეზე შეიძლება დაიწეროს ბევრი და მაინც წვეთი აღმოჩნდეს ზღვაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნუცა ქართული თეატრის მშვენება გახდა, ნახევარ საუკუნეზე მეტი! ახლა სურა-

„მედეა“—მედეა.

თები, წერილები, რეცენზიები თუ დარჩა იმ დიდი ხელოვნების გასაცნობად, რომლის ტყვეც ყოფილა ყველა, განურჩევლად ასაკისა და შეხედულებებისა, ყველა, ვისაც კი რამედ უღირდა ხელოვნება.

მოგონებებსაც რა წაშლის! მსახიობს არასოდეს დაელევა სათქმელი.

— ახლა ყველაზე მეტად ეს მიყვარს ამ ქვეყნად, — დამნაშავესავით ეღიმება ნუცას და ენატიტინა შვილთაშვილს გვაცნობს.

— იქნებ, პატარა ნინო მსახიობი გამოვიდეს და დიდიდედის სიმაღლემდეც ავიდეს!—ვეუბნებით.

დიდი მსახიობის თვალებში იმედი იელვებს.

— იქნებ!

ცისანა ჟღრჟღლიანი.

რევაზ ინანიშვილი

„ოამწვარი მხატვარი"

ნოველა

ფიროსმანმა რომ სმას უმატა და უმატა, მეგობარმა მხატვრებმა გადასწყვიტეს რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაიღუპება. ფული შეაგროვეს, ღვინის სარდაფი უყიდეს მთელ უძრავ-მოძრავით, ვგონებ იმ ქუჩაზე, დღეს რომ მისი სახელი ჰქვია, ჩააბარეს და დაანამუსეს: ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუღარ წახვალ, ისევ აქ დალიეო. ფიროსმანი ყველაფერზე დათანხმდა: ასეთი კაცი იყო — მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ყმაწვილს რომ ეთქვა: — არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, — თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: — მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაცივით იქცეოდა... თუ, რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ ყავდა შემჯდარი.

არავინ არ იცოდა მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის სავსე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმებოდა; სარდაფის პატრონს კი, ისევ «ხუდოჟნიკ ნიკალას» რომ ეძახდნენ, ყოველთვის ერთი, მუხლებთან გამობერილი დიაგონალის შარვალი და სატინის ხალათი ეცვა, ყოველთვის დაბრეცილი ჩექმებით დადიოდა.

ეს კია — შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიანად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ ის მხრებში მოჭმუჭნულ პიჯაკს გადაიცვამდა, ჩექმებს ვაქსით გააპრიალებინებდა, თმებს დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე გავიდოდა. მიდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მძიმედ, ხველებ-ხველებით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლესა და გამარჯვებას, ხან იმას. თუ რაღაც საინტერესო იყო — ქართულ თეატრში, ან ოპერაში შეუხვევდა...

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ქალი ჩამოვიდა, მარგარიტა ერქვა, ძალიან ლამაზი იყო.

ეს გაფცქვნილი ნათავადრები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ხონჯრებსაც კი აგირავებდნენ, ოღონდ ამ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა ჰქონდათ გამართული. იყო ხორხოცი, ბილწსიტყვაობა, ჟინიანი ხვიხვინი და ათასი სხვა ოხრობა.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში იქნებოდა — ლამაზი რამის გულისათვის ეშმაკსაც კი რომ მიჰყიდიდა სულს! ტყავი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი ააშენა და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა.

ფარდა რომ აიხადა და დედოფალასავით თვალებფოფინა მარგარიტა გამოჩნდა, დარბაზმა რომ იქუხა და ვიღაც-ვიღაცები დასაბმელები გახდნენ, ფიროსმანი მოიღუშა, მოიღუშა, თითქო დაპატარავდა. ასე გაუნძრევლად იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დასაწყისზე... მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი, მთელ უძრავ-მოძრავით, ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა, სურათები იყო, თუ იარაღები ისიც ზედ დააყოლა, აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა. რაც კი თბილისში შემოდგომური ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ათი ეტლი დაზვინა და სასტუმრო «პალას-ოტელს» მიაყენა.

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონდათ. მარგარიტას იქ შეჰგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგნენ.

— მეჩვენება თუ რა არისო, — შესჩივლა მარგარიტამ კავალერს. მაგრამ ამ დროს წინ ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი დაუდგა, ერთი დიდი ხავერდოვანი შავი ვარდი გაუწოდა და თავაზიანად მოახსენა:

— ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არაერთი ევროპელი თავიგლეჯია ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც პირველად ხედავდა. აღელდა და იკითხა: — მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო. უთხრეს: ორთაჭალის ბაღებში თქვენს სადღეგრძელოებს სვამსო. სულ გადაირია: — წავალ და მე თვითონ ვნახავო. მაგრამ ვიღაც დარბაისლებმა არ გაუშვეს — აბა, როგორ შეიძლებაო! თვითონაც იფიქრა — ემანდ დაღლილ-დაქანცულს ცუდი შთაბეჭდილება არ დაეტოვებინა მხატვარზე, რომელიც უთუოდ დიდი გემოვნების პატრონი ჩანდა. დანაღვლიანდა, გამარტოვდა, და მერე თვალცრემლიანმა იმ ქართულ ქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა «ბატონ ფიროსმანთან», ნაშუადღევისათვის დიდის მოწიწებით თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით. ვინც კი აიარ-ჩამოიარა ყველა სუფრაზე მიიპატიჟა, ხელადები დააჯარებინა, დამკვრელების კიდევ ერთი

დასტა დაისვა და ქეიფი განაახლა.

ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს არ სჩვენებია, მაგრამ იმ დღეს მთლად გადარია. ფიალას ფიალაზე სცლიდა, ტიროდა, იცინოდა, ყველაფერი ელამაზებოდა, ყველაფრის გულში ჩახუტება უნდოდა, ყველაფერზე მტლად დადებას ეპირებოდა.

— გეყოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასვლელიო! — რამდენჯერმე შესძახეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე კი არა, ნაშუაღამევამდეც ვეღარ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი და ვერც ძმაბიჭების «იახშიოლ»...

ნაშუაღამევს ძლივს წამოდგა, ქამარი გაისწორა, პიჯაკს ხელი გაუყარა, საყველაწმიდაო დალია, ულვაშები გადაიპეწა და ეტლი «პალას-ოტელისაკენ» დააძვრევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

-- ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო 9 საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთადო...

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა. იქ ბალახებზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და ხმამაღლა ატირდა.

მედუდუკეებმა გუმანით იგრძნეს რა ცეცხლიც მოსდებოდა საყვარელ ნიკალას. ვაიმე-ვაიმეო, — გააქნიეს თავები სინანულით, ერთმანეთს გადახედეს და დამწვრისა დაუკრეს:

«კარგი იყო არ მენახე თავიდან» და სხვა...

*

აი, მეგობარო, როგორ ლამაზად ავსებს თავისი დიდი მხატვრის უცნობ ბიოგრაფიას ჩვენი ჭკვიანი ხალხი. შენ ვიცი რასაც მეტყვი: ფიროსმანისთვის ღვინის სარდაფი არავის არ უყიდნიაო, ფიროსმანს ფრანგ მარგარიტასთვის ათი ეტლი ყვავილები არ მიუძღვნიაო, შავი ვარდი რაღაა, ეს რაღამ მოაგონათო... რამ მოაგონათ მთლიანად ეს ამბავი – წადი და თუ ამ ქვეყანაზე თითო თლაშოი არყის ფასად დახატული სურათები შეგხვდეს სადმე — ამას ეს სურათები გეტყვიან მხოლოდ...

სემინარი მშობლებისათვის

„ბავშვთა აღზრდა ჩვენი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი დარგია, ჩვენი ბავშვები – ეს ჩვენი ქვეყნის მომავალი მოქალაქეებია... ისინი შექმნიან ისტორიას... ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდნონ შესანიშნავ მოქალაქეებად, კარგ მამებად და დედებად. მაგრამ ესეც ყველაფერი როდია: სწორი აღზრდა ეს ჩვენი ბედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა ეს ჩვენი მომავალი უბედურებაა, ეს ჩვენი ცრემლებია, ეს ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“

ა. ს. მაკარენკო.

ოჯახს შეემატა ახალი ადამიანი, პატარა, უსუსური არსება. ამ ბედნიერებას თან მოჰყვება ხოლმე დიდი შრომა და მღელვარება. მშობლები სულ იმის ფიქრში არიან თუ როგორ აღზარდონ თავისი პირმშო, რომ იყოს ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე. რა მეთოდებით მიუდგნენ, რომ გამოვიდეს იგი ქეთილშობილური თვისებებით აღსავსე, ნამდვილი ადამიანი, რომ მისი სახით საზოგადოებას შეემატოს ახალი ცხოვრების ჭეშმარიტი შემოქმედი.

ჩვენს ქვეყანაში მშობლებს ბევრი კარგი მრჩეველი ყავს ამ მხრივ, მათ ეხმარება საბავშვო ბაგა, ბაღი, ხოლო როცა ბავშვი სკოლის სამყაროში შედის—აქ არის მასწავლებელი, პიონერხელმძღვანელი, ხოლო სკოლის გარეშე, საბავშვო დაწესებულებები, აგრეთვე ბევრი სპეციალისტი.

მაგრამ ბავშვის აღზრდისათვის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მაინც დედასა და მამას აკისრია, მათ,ვინაც მას სიცოცხლე მისცა. მშობლებმა უნდა გადაიტანონ საკუთარ თავზე აღზრდის ურთულესი მეცნიერება, რათა თავიდან იქნას აცილებული ის შეცდომები, რომლებიც აჩლუნგებს ბავშვის ჩვილ გონებას და ამახინჯებს მის სულიერ სამყაროს. ჩვენ გვსურს დავეხმაროთ მშობლებს ამ ძნელ და რთულ საქმეში, რისთვისაც ჟურნალის ფურცლებზე ვხსნით სემინარს მშობლებისათვის. სტატიებითა და კონსულტაციებით გამოვლენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, ექიმები, პედაგოგები, აგრეთვე მშობლები, რომელთაც აქვთ შვილების—ბავშვების აღზრდის საუკეთესო გამოცდილება.

ვიწყებთ სემინარს საუბრით ადამიანის ორგანიზმის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ორგანოზე—გულზე და იმის შესახებ, რისი გადადებაც არ შეიძლება—ხასიათის აღზრდაზე*.

ბავშვის გული

ჩვენი პედიატრიის ინსტიტუტში ხშირად ვიღებთ მშობელთა წერილებს. ისინი გვთხოვენ მივცეთ კონსულტაცია ბავშვის მოვლის საკითხებზე. განსაკუთრებით აღელვებთ მათ ბავშვის გულის დაავადების საკითხი. პატარა ვალოდიას დედა მ. გვწერს: «რა მოუვიდა ჩემი ბიჭუნას გულს? ექიმები რაღაც «ხმაურს» შენიშნავენ. ნუთუ ეს რევმატიზმია?»

ჩვენ ვთხოვეთ ვალოდიას დედას ბიჭუნა მოეყვანა ინსტიტუტის პოლიკლინიკაში. და აი ისიც მოვიდა, ფერმკრთალი, გამხდარი, მოთენთილი. ამ შვიდი წლის კაცუნას უკვე რამდენჯერმე გადაუტანია ანგინა, ხშირად აძლევს სიცხეს, უჩივის ფეხების ტკივილს, მაგრამ რამაც განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება ეს იყო ხახის, პირის, კისრის და ყბის ქვედა ლიმფური კვანძების გადიდება.

დაკვირვებული, გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ ჩვენ დავამშვიდეთ დედა, რომ ვალოდია რევმატიზმით კი არ იყო დაავადებული, მას ქრონიკული ტონზილიტი (ნუშების ანთება) ჰქონდა.

მაგრამ რატომაა, რომ ასეთი ავადმყოფობის შემდეგ გული ცვლილებებს განიცდის?

ამაში რომ ადვილად გავერკვეთ. ვნახოთ როგორია ბავშვის გულის აღნაგობა. დიდი ადამიანის გულისაგან განსხვავებით. იგი არამარტო ამარაგებს სისხლით ანუ საკვები ნივთიერებით და ჟანგბადით ყველა ორგანოსა და ქსოვილს, არამედ თვითონაც იზრდება.

ბავშვის გულსისხლძარღვთა სისტემა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ყოველგვარი გარეგანი გაღიზიანების მიმართ. ყოველგვარი ფიზიკური დაძაბვა, ყვირილი, ტირილი —იწვევს გულის მუშაობის რითმის აჩქარებას.

ბავშვის გულის კუნთი ჯერ კიდევ სუსტია, იგი უხვად შეიცავს სისხლისა და ლიმფურ ძარღვებს, ამიტომ მავნე პროდუქტები, რომლებიც ანთებად კერებში გროვდება. ადვილად იწოვება სისხლში.— არღვევს გულის კვებას და ცვლის მის ტონუსს.

ყველა დაავადება ასე თუ ისე მოქმედებს ბავშვის გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე. ქუნთრუშის. დიფტერიის მძიმე ფორმა. მწვავე ქრონიკული ტონზილიტის გართულება, ქრონიკული სურდო, ცხვირის ღრუს, ყურის ანთებითი პროცესები, ეს ყველაფერი ქმნის ნიადაგს რევმატიზმისათვის, ხოლო რევმატიზმი მძიმე სახის დაავადებაა, იგი აზიანებს მთელ ორგანიზმს და ხშირად იწვევს გულის მანკს.

ავადმყოფობა უფრო ხშირად იწყება ტემპერატურის მომატებით და სახსრების ტკივილით. მწვავე შეტევა რამდენიმე თვეს გრძელდება. შემდეგ კი ნელდება. მაგრამ ყოველთვის მოსალოდნელია გამწვავების განმეორება.

ზოგიერთ შემთხვევაში რევმატიზმი შეიძლება ფარულად მიმდინარეობდეს. შეუმჩნევლად. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც იგი თანდათანობით აზიანებს გულს. ბავშვი ხდება დუნე, მიზეზიანი, სწრაფად იღლება.

შეიძლება თუ არა თავიდან ავიცილოთ გულის დაავადება?

დიახ, შეიძლება. ბავშვის ჯანმრთელობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ ფიზიკურ აღზრდას. დილა უნდა დაიწყოს ფიზიკური ვარჯიშით და სხეულის წყლით დაზელვით. ეს აკაჟებს ორგანიზმს და იგი იშვიათად ავადდება. დასუსტებულ ბავშვებს ერთბაშად არ შეიძლება გავხადოთ ტანთ, ასეთ შემთხვევაში მათი სხეულის ნაწილები ცალ-ცალკე უნდა დავზილოთ.

დაზელვის პირველ შემთხვევაში უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის წყლის სითბო +33 გრადუსი უნდა იყოს, საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის—+30 გრადუსი. ყოველ 2—3 დღეში წყლის ტემპერატურა უნდა შევამციროთ 1—2 გრადუსით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სითბო არ უნდა შემცირდეს 13 გრადუსს ქვევით.

ორგანიზმის თავდაცვითი ძალის გამაგრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თხილამურებითა და ციგურებით სრიალს.

ასეთი ფიზიკური ვარჯიშის დროს ფილტვები კარგად ფართოვდება, სუნთქვა უფრო ღრმა ხდება, ორგანიზმში გროვდება მეტი ჟანგბადი და გულის კუნთები ძლიერდება.

დასუსტებული ბავშვებისათვისაც საჭიროა ფიზიკური ვარჯიში, მაგრამ ვარჯიშის რეჟიმის დადგენა აუცილებელია ექიმის რჩევით.

მინდა გავაფრთხილო მშობლები, რომ ბავშვებისათვის ძალიან მავნებელია გადაღლა, იგი იწვევს მადის დაკარგვას, თავის ტკივილს, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითებას. ქრონიკული გადაღლა ასუსტებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს.

აი რატომ არის საჭირო ყურადღებით მოვეკიდოთ ბავშვის რეჟიმს, დავიცვათ კვების, მეცადინეობის საათები და გონივრულად შევუხამოთ დასვენებასა და გასეირნებას.

ბავშვები, რომლებმაც გადაიტანეს გულის დაავადება, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ერთი საათი უნდა იწვნენ, შემდეგ 1—2 საათი ისეირნონ სუფთა ჰაერზე.

საუბრის დასასრულს მინდა ვუპასუხო იმ კითხვაზე, რომელსაც ჩვეულებრივად იძლევიან ხოლმე მშობლები: თუ ბავშვი ხშირად ავადდება ანგინით, აუცილებელია თუ არა ნუშების ამოკვეთა?

ამ შემთხვევაში ჩვენ ვატარებთ კონსერვატიულ მკურნალობას (ხახის გამოვლებას, ნუშების გამორეცხვას ანტიბიოტიკებით, კვარცით დასხივებას), მაგრამ თუ ესეც არ შველის, ნუშებს ამოვკვეთთ და ამით თავიდან ავიცდენთ გულის დაავადებას.

ე. ნოვიკოვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ხასიათის აღზრდა

მე მსურს საუბარი დავიწყო შემდეგი საკითხით: იციან თუ არა დედებმა, რომ ბავშვის ხასიათის ფორმირება ძალიან ადრე იწყება?

სულ პირველი შთაბეჭდილებანიც კი გარკვეულ კვალს სტოვებს ჩვილის გონებაზე. პირობები, რომელშიც ცხოვრობს, მის აღმზრდელთა შორის დამყარებული ურთიერთობა,—ყველაფერი გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

აღზრდას მთავარი საფუძველი,—ამბობდა გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო, — ხუთ წლამდე ეყრება. და ის, რაც თქვენ გააკეთეთ ხუთ წლამდე,—ეს არის მთელი აღმზრდელობითი პროცესის ოთხმოცდაათი პროცენტი.

ადრეულ ასაკში სწრაფად მიმდინარეობს ბავშვის არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქიკური განვითარებაც. ის სწავლობს საგნების დანახვას, ეხვეწება სმენა, სწავლობს ნივთების ხმარებას, დამოუკიდებლად დგება ფეხზე, იწყებს სიარულს, უყალიბდება ბევრი სასარგებლო ჩვევა, უნვითარდება მეტყველება და აზროვნება.

ამ პერიოდში დედამ უნდა შეიმუშავოს მტკიცე და სწორი რეჟიმი. თუ ბავშვი შეეჩვევა გარკვეულ წესრიგს, უდროოდ აღარ მოითხოვს საჭმელს, სწორედ ეს ჩვევები წარმოადგენენ ხასიათის ფორმირების პირველდაწყებითს ელემენტებს.

თუ არ დადგინდა გარკვეული რეჟიმი, მაშინ იცოდეთ, რომ ბავშვის აღზრდაში დაშვებულია პირველი და ძირითადი შეცდომა და ნუღარ გაიკვირვებთ, როცა ბავშვს არაფერი აწუხებს და მაინც მიზეზიანობს, ხოლო როცა ძილის საათებია, ფხიზლობს. შემდეგში შეცდომათა ჯაჭვი შეუმ-

თვითონ ჩაიცვას!

ფოტო გ. თიკანაძის

ჩნევლად იზრდება. ეცოდება რა ბავშვი, დედა მას ხელში იყვანს, დიდხანს ატარებს, არწევს, უდროოდროს აძლევს საჭმელს, ოღონდაც არ იტიროს. ამის შემდეგ ბავშვი ეჩვევა ჭირვეულობას, ჯიუტობას.

ყველა დედამ იცის, რომ ბავშვები ადრეულად იჩენენ ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ, სურთ თვითონვე დაიბანონ ხელპირი, ჭამონ, ჩაიცვან.

სამწუხაროდ, მეტისმეტად მზრუნველი დედები ხშირად უხშობენ ბავშვებს დამოუკიდებლობის მცირე გამოვლინებასაც კი. ბავშვი აიღებს თუ არა კოვზს, იმის შიშით, რომ წვენი არ დაეღვაროს, ან ფაფით არ გაითხუპნოს, დედა თვითონ აჭმევს.

მშობელი, იმის მაგიერ, რომ დაეხმაროს პატარას სულ უმნიშვნელო დაბრკოლების გადალახვაში, თვითონ აკეთებს ყველაფერს, რითაც ხელს უშლის ბავშვში ნებისყოფის გამომუშავება-განვითარებას. ასეთ პირობებში აღზრდილი ბავშვები უმნიშვნელო დაბრკოლების დროსაც კი იბნევიან, მოითხოვენ უფროსების დახმარებას.

ბავშვის ხასიათის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშს. ეს, როგორც მ. გორკი აღნიშნავდა, «არის ბავშვების გზა სამყაროს შეცნობისაკენ, სამყაროსი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და მოწოდებული არიან გარდაქმნან იგი». როცა ბავშვი გართულია პირამიდაზე რგოლების ჩამოცმით ან კუბიკების დალაგებით, მას უნდა მივცეთ საშუალება ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე.

პატარა ბავშვები განსაკუთრებით შთაბეჭდილებიანი და ცნობისმოყვარენი არიან. ყველაფერს ეხმაურებიან, ყველაფერი აინტერესებთ: «ეს ვინ არის?, «ეს რა არის!?, «რატომ?», «როგორ?» «რისთვის?». ასეთ კითხვებზე მისთვის გასაგები ენით, დინჯად

უნდა გავცეთ პასუხი. მთავარია არ ჩავკლათ მასში ბავშვური ცნობისმოყვარეობა. ეს უძვირფასესი თვისება მისი პიროვნების ფორმირებისა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი პასუხის გაცემა: «თავი ნუ მომაბეზრე, მომცილდი!».

ხშირად უფროსებს გონიათ, რომ პატარებს თითქოს არ ესმით მათი საუბარი. ეს მართალი არ არის.

პატარები ყველაფერს გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს, ყველაფერს უსმენენ. შეიძლება სიტყვების მნიშვნელობა მართლაც ვერ გაიგონ, მაგრამ საუბრის საერთო ხასიათს, განწყობილებას შესანიშნავად გრძნობენ.

უფროსების სიმპატია თუ ანტიპატია ღრმად დადის ბავშვის შეგნებამდე და წარუშლელ კვალს სტოვებს. თუ მშობლები ცხოვრობენ თანხმობით, მზრუნველობას იჩენენ ერთიმეორისადმი, მაშინ მათი შვილიც ზრდილი და გულისხმიერი იქნება.

პატარების აღზრდა შეუძლებელია ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და დარწმუნების გარეშე, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. აუცილებელი არ არის, მაგალითად, წარამარა აუხსნა პატარას თუ რატომაა საჭირო სადილობისას მაგიდასთან წესიერად იჯდეს, არ შეუშალოს ხელი უფროსებს, როცა ისინი მუშაობენ ან ისვენებენ.

ბავშვისათვის საკმარისი უნდა იყოს ერთი გაფრთხილება—«არ შეიძლება»—რომ თავი შეიკავოს. ხოლო უმრავლეს შემთხვევაში უნდა განუმარტოთ რა არის ცუდი და რა არის კარგი. მაგრამ თუ აღმზრდელის სიტყვა ეწინააღმდეგება მის მოქმედებას ეს აბნევს ბავშვს.

წარმოიდგინეთ: დედა არიგებს შვილს, რომ ყოველთვის იყოს მართალი და პატიოხანი და თანაც აფრთხილებს არ გააგებინოს მაძას მიღებული ორიანის შესახებ. ამით იგი ზიანს აყენებს ბავშვს და უბიძგებს სიცრუისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი ბავშვი იზრდება საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. თვალს ვადევნებთ რა პატარებს, შეიძლება გავაკეთოთ გარკვეული დასკვნა: კოლექტივი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათის დადებითი თვისებების ფორმირებაზე. აქ მაი ადრეული ბავშვობიდანვე უვითარდებათ თვისება ანგარიში გაუწიონ არა მარტო პირად სურვილებს, არამედ ამხანაგებისასაც, იზრუნონ ერთმანეთზე და დაიცკან დღის რეჟიმი. კოლექტიური თამაშობანი დიდ გასაქანს აძლევს ფანტაზიას, აწრთობს გონებას, ბავშვის ნებისყოფას, ავითარებს მის უნარს. თამაში შეუმჩნევლად გადადის სასარგებლო საქმიანობაში; ბავშვები სიამოვნებით რწყავენ ყვავილებს, ბანენ დედოფლებს, უკერავენ კაბებს და სხვ.

ვუბრუნდები მას, რითაც დავიწყე: სცდებიან ის მშობლები, რომლებიც სთვლიან, რომ სანამ ბავშვი პატარაა, მას არაფერი მოეკითხება, აი წამოიზრდება, წავა სკოლაში და მაშინ გაიგებს, რა არის კარგი და რა ცუდი.

ადრეული ასაკიდან ბავშვის სწორი აღზრდა უფრო ადვილია, ხოლო ხასიათში გამჯდარი უარყოფითი თვისებების აღმოფხვრა კი გაცილებით ძნელი.

ე. ისტომინა,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ნ. ვ. გოგოლი

1809 — 1959

მოთხრობა—მოცულობით პატარა, ამბავი—უბრალო, თითქოსდა უმნიშვნელოც. წვრილი მოხელის განმარტოებული ცხოვრება; უცოლშვილოდ, უმეგობროდ პეტერბურგის უზარმაზარ ბიუროკრატიულ დაწესებულებაში გატარებული ოცდაათი წელი...

მონურად ნამსახურმა წლებმა მას პირადი მოთხოვნილებები მიუყუჩა, გადაავიწყა, რომ ისიც ადამიანია. მისი ცხოვრების მთელ დედააზრად საკანცელარიო ქაღალდის გადაწერა ქცეულა. უნარი კაცური სიყვარულისა ასოების გამოყვანაში გადაუტანია, და მის ერთადერთ სიამოვნებად ამოჩემებული საყვარელი ასოების დანახვა გამხდარა გადაწერისას, მაშინ ის იღიმება, გულითადად შეჰხარის მათ...

ერთფეროვან, ადამიანური ღირსების დამამცირებელ, უბადრუკ ცხოვრებას თითქმის იდიოტობამდე მიუყვანია იგი. და უცებ, ახალი მაზარის შეძენის აუცილებლობა აამოძრავებს საბრალო მოხელეს. ყოფაცხოვრებითი ეს დაინტერესება უღვიძებს მას ადამიანურ თვისებებს—ხალისს, ენერგიას, და წარმოიდგინეთ, ქალითაც კი დაინტერესდება... მაგრამ სოფლის ამაოება თავის უფლებებშია, ხანმოკლე გამოღვიძება კატასტროფით თავდება. იგი გაძარცვეს ქუჩაში ვიღაც ავაზაკებმა და ამ უბედურებას თან გადაჰყვა.

ნ. გოგოლის, აი, ამ უბადლო მოთხრობამ—«მაზარამ» ათქმევინა ცნობილ ინგლისელ პუბლიცისტს კარლეილს, რომ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ იცნობს ასეთ ძლიერ ნაწარმოებს.

მართლაც გენიოსი მხატვრის ფუნჯმა საოცრად ღრმა ფსიქოლოგიურ ნაწარმოებში უაღრესი თანაგრძნობით გაჟღენთილი ჰუმორით დახატა აკაკი აკაკის-ძის ტრაგიკულად სასაცილო სახე, სახე «პატარა», ყველასაგან დაჩაგრული ადამიანისა. და ამ უბადრუკ-წამებულს უდიდესი კაცთმოყვარეობით გამოექომაგა დიდი მწერალი.

სწორედ «მაზარის» კაცთმოყვარეობა იქცა მეორე დიდი რუსი მწერლის დოსტოევსკის ჰუმანიზმის სათავედ. და მას, სოციალური უკუღმართობით გზააბნეული ადამიანების ბედ-იღბლით ავადმყოფურად დაინტერესებულ ფსიქოლოგს, მათი ენების ჯადოქარ მწერალს, ათქმევინა «ჩვენ ყველანი გოგოლის» «მაზარიდან» გამოვედითო».

გოგოლი ახალი თემებით, ახალი გმირებით მოვიდა რუსულ ლიტერატურაში. მისი გამოჩენა მთელი მოვლენა იყო რუსეთის სინამდვილეში. ცხოვრების მთელ რიგ ხელუხლებელ მხარეს მან პირველმა მოჰკიდა ხელი, ხნული გააკლო აუთვისებელ ყამირს და ღრმა, გულშიჩამწვდომი, თავისებური, ხალხური ენით წარსდგა თავისი საყვარელი რუსი ხალხის წინაშე.

«დიდიხანია მსოფლიოს არ ჰყოლია მწერალი,—ამბობდა ჩერნიშევსკი,—რომელიც ისეთი მნიშვნელობის იქნებოდა თავისი ხალხისათვის, როგორიც გოგოლი იყო რუსეთისათვის». გოგოლივით არავინ არ იცნობდა რუსეთის ცხოვრების ყველა წვრილმანს და რუსულ ხასიათს მისივე თქმით, მას განგებამ არგუნა სამწუხარო ნიჭი დაინახოს არსებული ნაკლოვანებანი, რომლებსაც უმრავლესობა ისე შესჩვევია, რომ მისი შემჩნევის უნარი დაუკარგავს.

ნ. გოგოლის მსოფლმხედველობისა და მრწამსის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა იქონიეს ბავშვობის შთაბეჭდილებებმა. სიყრმის წლებიდან გამოყვა მას თავისი კუთხის, პოლტავის გუბერნიის მემამულეთა ფუქსავატი ცხოვრების სურათები: უქნარობა, გონებრივი სიჩლუნგე, ეგოიზმი, საშინელი სიბნელე და უვიცობა, რაც შემდგომ მისი სატირის ძირითად თემად იქცა. ბავშვობის წლებში ხალხთან უშუალო სიახლოვემ კი მომავალ მწერალს შეაყვარა ფოლკლორი—აქედანაა მისი, თავისებური, ღრმა ლირიზმი და უზომო სიყვარული ხალხისადმი.

წერა გოგოლმა ადრე, ნეჟინის გიმნაზიაშივე დაიწყო. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ტრაგედიებს, მაგრამ მისი ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი მაინც პეტერბურგთანაა დაკავშირებული... აქ გამოცემული მოთხრობების კრებულით «საღამოები ხუტორში დიკანკის მახლობლად» იწყება გოგოლის აღმავალი დიდებითმოსილი შემოქმედებითი გზა. ამ კრებულმა სახელი გაუთქვა ახალგაზრდა მწერალს, მას აღფრთოვანებაში მოუყვანია პუშკინი... «საღამოებში» გოგოლი აგრძელებდა რომანტიზმს პროზაში, მაგრამ იმ თავითვე იგრძნობოდა სატირიკოსის გამჭრიახი თვალი. «საღამოების» შემდგომ გამოქვეყნებულ კრებულებში: «მირგოროდსა» და «არაბესკებში» გოგოლი უკვე მხატვრული სიტყვის დასრულებულ ოსტატად გვევლინება... ოცდაექვსი წლის მწერალმა არნახულ სიმწიფეს მიაღწია, სახელი მოიხვეჭა, აღიარება ჰპოვა... ამ პერიოდში, პუშკინის მიერ მიწოდებულ თემაზე, შექმნა გოგოლმა გენიალური კომედია «რევიზორი». მისი საკუთარი განცხადებით, ავტორმა თავი მოუყარა ჩინოვნიკური რუსეთის ყველაფერ ცუდს, რომ ერთხელ გაეცინათ... მაგრამ «რევიზორის» განმაქიქებელი ძალა მწერლის ჩანაფიქრს გასცდა. ცხოვრების ჭეშმარიტმა ასახვამ, უაღრესად ტიპიურმა სახეებმა, კომედიის გმირთა ხასიათების გენიალურმა გამოკვეთამ—ეს ნაწარმოები ჩინოვნიკურ-ბატონყმური ინსტიტუტის მკაცრ, მამხილებელ დოკუმენტად აქცია. სკვოზნიკ-დმუხანოვსკეის, ლიაპკინ-ტიაპკინების რუსეთი საშინლად აღაშფოთა «ვიღაც მჯღაბნელის» თავხედობამ და საპროტესტო ღრიანცელი ატყდა—კომედიის აკრძალვა მოითხოვეს... მაგრამ მათ გაცოფებას გამომწვევად პასუხობდა თვით «რევიზორის» მოსწრებული ეპიგრაფი—„На зеркало нече пенять, коли рожа крива".*

«რევიზორის» შემდეგ აღმავალი საფეხური და გოგოლის შემოქმედების ზენიტია მე-19 საუკუნის უდიდესი პროზაული პოემა «მკვდარი სულები». გოგოლის ეს შედევრი ეპოქალური მოვლენა იყო რუსეთის სინამდვილეში. მან ნიღაბი ჩამოგლიჯა დამყაყებული ცხოვრების წარმომადგენლების გარეგნულ ბრწყინვალებას. შექმნა მცონარე მემამულეთა მთელი გალერეა: მანილოვების, კოროობოჩკების, ნოზდროვების, პლუშკინებისა, და მათ სათავეში ჩაუყენა მემამულური-ბურჟუაზიული რუსეთის ახალი ტიპი ჩიჩიკოვი—მკვდარი სულებით მოვაჭრე, მოხერხებული კომბინატორი... ეს დეგრადირებული ტიპები, სოციალური უკუღმართობის წყალობით, გამხდარან რუსეთის ბედის გამგებელნი, გოგოლის ღრმა რწმენით, სწორედ ეს მკვდარი სულები თავიანთი არსებობით სწამლავდნენ რუსეთის ყოფას, რუსი ხალხის ცხოვრებას. ბატონყმური რუსეთის იმპერიის გამაშიშვლებელი, ბრწყინვალედ შესრულებული რეალისტური სურათებით—გოგოლი ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა მათდამი და მწარე სიცილით სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა მთელი სისტემისათვის. მწერალმა იცოდა, მისი რუსეთის გადასარჩენად, საჭირო იყო ახალი გზის მონახვა, მაგრამ მისმა წვრილმემამულურმა წარმოშობამ, რომელსაც თან ერთვოდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამწვავებული მემკვიდრეობითი ღვთისმოსაობა, ხელი შეუშალა გენიოს შემომქმედს გამოსავალი ეპოვა. მისი ცხოვრების ბოლო წლებში გოგოლი თავისი ბრწყინვალე ლიტერატურული მემკვიდრეობის უარყოფამდეც კი მივიდა, რამაც დიდი რუსი კრიტიკოსის ბელინსკის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია («წერილი გოგოლს»).

მისი ნაწარმოების გარშემო ატეხილმა ხმაურმა აიძულა გოგოლი მძიმე შთაბეჭდილებებით წასულიყო საზღვარგარეთ და თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გატარებინა «ლამაზ შორეთში», მშობლიურ მხარეს მოცილებულს. მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაუბრუნდა «მკვდარი სულების» ავტორი საყვარელ რუსეთს. უკვე ჯანმრთელობაშერყეული, ქრისტეს საფლავის სალოცავიდან (იერუსალიმიდან) დაბრუნებული, რელიგიური ფსიქოზით შეპყრობილი მწერალი ცდილობს დაამთავროს «მკვდარი სულების» მეორე ტომი, მაგრამ საიმისოდ მას უკვე არც ფიზიკური და არც მორალური ძალა არ შესწევს. სასიკვდილო აგონიაში მან დასწვა მეორე ტომის უკანასკნელი ვარიანტი. რამდენიმე დღის შემდეგ, 1852 წლის 21 თებერვალს, ნ. ვ. გოგოლი გარდაიცვალა.

დიდმა მწერალმა დიდი კვალი დაამჩნია რუსულ ლიტერატურას. მის მიერ გაკაფული გზით მოვიდნენ და მის ბრწყინვალე ტრადიციებზე აღიზარდნენ: ი. ტურგენევი, ი. გონჩაროვი, ა. ოსტროვსკი, გ. ჩერნიშევსკი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვები.

სწორედ ამ ბრწყინვალე წარმომადგენელმა ი. ტურგენევმა უწოდა გოგოლს—«ადამიანი, თავისი სახელით ეპოქას გამომკვეთი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ადამიანი, საამაყო, ვითარც ერთ-ერთი დიდება ჩვენი.»

რ. მელაძე.

---

* სარკეს რას ემდური, თუ სახე. მოღრეცილი გაქვს. ხალხური ანდაზა.

სიფაქიზე, სილამაზე, ძლიერებაა...

დილის 9 საათია. გასაღდელში ჩვეულებრივი ფუსფუსია. ერთმანეთში ირევიან გოგონები. ცდილობენ დროზე მოემზადონ, ტანთ გაიხადონ და ჩადგნენ მწკრივში. იწყება გაკვეთილი.

თბილისის საზამთრო საცურაო აუზს ცენტრალური სპორტული სკოლის ყველაზე ნორჩი მოცურავეები ეუფლებიან. წყლის სასიამოვნო ხმაური... და მხოლოდ რეზინის ქუდებიღა ლივ-

ლივებენ აუზში. «გამოცდილი» მოცურავეების ქუდები.

ეს გოგონა კი. დღეს რომ შემთხვევით დაიგვიანა. ექვსი წლისაა. ცისფერ საცურაო კოსტუმში გამოწყობილი. თვალხუჭუნა დედოფალასა ჰგავს. ქარივით შემოირბინა დარბაზში. ჯერ დედას ჩამოეკიდა კისერზე. მერე ძია ლუკა გადაჰკოცნა და აუზის მარჯვენა მხარეს მიაშურა, სადაც წრეში ჩამდგარი მისი ამხანაგები ნაპირზე გადიოდნენ წვრთნას. ხტუნაობდნენ თოკზე. ზუსტად ისე. როგორც ერლანდა საბავშვო ბაღში თამაშობდა. ფიცარზე გაწოლილები ავარჯიშებდნენ ფეხებს და აი, ბოლოს დადგა სანუკვარი წუთი.

პატარებიც ეშვებიან წყალში.

— უფრო ღრმად შევიდეთ. — ეუბნება ერლანდა ტატიშვილი ლუდმილა მასწავლებელს.

— ჩვენც კი შეგვიძლია მათსავით ცურვა,— შურით აყოლებს თვალს 8 წლის რიტა ქორჩილავა მათ გვერდით მოვარჯიშე «გამოცდილებს», რომლებთანაც გაკვეთილს ერლანდას დედა მარგალიტა ტატიშვილი ატარებს.

მასწავლებელს კი თითქოს არც ესმის, ყურადღებას არ აქცევს მათ სიტყვებს, დაჟინებით ამეორებინებს ერთსადაიმავე მოძრაობას.

ლუდმილა სმირნოვა თავის კოლექტივსა და მოწაფეებს შორის საერთო სიყვარულით სარგებლობს. «ჩვენი დეიდა ლუდა»—ასე მიმართავენ ბავშვები. კოლეგები კი მაინც «პატარა ლუდად» სთვლიან. ის ხომ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ უკვე მდიდარი სპორტული ბიოგრაფია აქვს.

1952 წელს ჩაეწერა იგი თბილისის ცენტრალურ სპორტულ სკოლაში და აღელვებულმა. საცურაო აუზის კარები შეაღო. წყლის დანახვაზე უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ თავის-

დაუნებურად წარმოსთქვა:—თქვენთან მინდა ვივარჯიშო, ლუკა ალექსანდრეს-ძევ.

და ყველაფერი ძალიან უბრალოდ, ჩვეულებრივად დაიწყო, ისე, როგორც დღეს მასთან იწყებენ პატარები. მხოლოდ 7 წელი გავიდა



მას შემდეგ. ლუდამ ამ ხნის განმავლობაში ბევრ წარმატებას მიაღწია. ღიმილით იგონებს თავის პირველ დამარცხებას 1953 წელს, როცა საქართველოს პირველობაზე შეჯიბრში მონაწილეობდა. ლუდა მაშინ ფინიშთან უკანასკნელი მივიდა. დაუღალავი შრომა, ენერგიული წვრთნა და. ოთხი წლის განმავლობაში ლუდმილა სმირნოვამ არავის დაუთმო საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება. ახლა იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის ემზადება. მისი პატარა მოსწავლეები სისტემატურად ესწრებიან მასწავლებლის ვარჯიშს, ახარებთ მწვრთნელის მიღწევები და ალბათ, სპარტაკიადაზეც ლუდმილა სმირნოვას მათი სახით ყველაზე მხურვალე გულშემატკივრები ეყოლება.

ეს ცქრიალა გოგონები, დედის კალთას რომ ვერ სცილდებიან. ბავშვური სიჯიუტით ეუფლებიან ცურვის ტექნიკას. ლეილა არანიშვილი, ნელი კუნდუში, ცისანა შანიძე, ჩოლიტა ავეტისიანი, ნანა მანთიძე ჯერ კიდევ შარშან დამწყებთა ჯგუფში ვარჯიშობდნენ, წელს კი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები არიან.

— ესეც ჩვენი გამოჩენილი ლუბა,—გვაცნო-

ბენ ისინი ყველას სათაყვანებელ მოცურავეს, 38-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს ლუბა კრილოვას, რომელსაც წელს 16 წელი შეუსრულდა.

კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია—და არვის გაჰკვირვებია, როცა ცნობილი წყალბურთელის, ახლა საზოგადოება «ბურევესტნიკის» წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელის ლევან ალექსანდრეს-ძე კრილოვის ქალიშვილმა ჯერ კიდევ 5 წლის წინ გამოამჟღავნა შესანიშნავი მონაცემები.

ცურვის მაქსიმალური ტემპი, შესანიშნავი ტექნიკა—აი, რა გიზიდავთ, როცა ლუბა კრილოვას ადევნებთ თვალს. გასულ წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის მოცურავეთა შეჯიბრების დროს მან დაამარცხა უძლიერესი მოწინააღმდეგე ბაქოელი მატვეევა და აჩვენა ბრწყინვალე შედეგი 3:0,4,3. მისი ოცნებაა შეასრულოს სპორტის ოსტატის ნორმა და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე აჩვენოს 3:00,0. თბილისის ცენტრალური სპორტული სკოლის მოსწავლე ლუბა კრილოვა უკვე სსრკ ნაკრები გუნდის წევრია.

ამ სკოლაში, რომელიც 1936 წელს დაარსდა, 15 სპორტულ სახეობას ასწავლიან: ცურვას, წყალბურთს, ფარიკაობას, ჩოგბურთს, ჭიდაობას და სხვ.

ახლა ჩვენ საჭიდაო დარბაზში შევდივართ. ხალიჩაზე ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ორი წყვილი იბრძვის.

— კისრული უფრო ლამაზად! ახლა ბრუნები!—იძლევა დროდადრო შენიშვნებს მწვრთნელი გიორგი ბასილაშვილი და, ერთერთი მოჭიდავე ბეჭებით ეხება ხალიჩას.

რამდენი სისწრაფე და სილამაზეა ჩაქსოვილი სპორტის ამ უძველეს სახეობაში—ჭიდაობაში. ქართველებს იგი ოდითგანვე შეუსისხლხორცებიათ, თაობებისათვის გადაუცია და დღეს მის ღირსებას იცავენ ჩვენი გამოჩენილი მოჭიდავეები—ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ნოდარ კანდელაკი...

დღევანდელი «ვარსკვლავები» ამ პატარა ბიჭებივით აქ, თბილისის ცენტრალურ სპორტულ სკოლაში მოთმინებით ისმენდნენ მწვრთნელის შენიშვნებს. ამ შავთვალა ბიჭის მსგავსად, თვალით რომ ზომავს მოწინააღმდეგის ძალას, ისინიც მკვირცხლად უვლიდნენ ხალიჩას გარშემო. აქ ისახებოდა მათი ბრწყინვალე მომავალი. საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა პეტრე იორდანაშვილმა მთელი ძალა და ენერგია მოანდომა მათ აღზრდას და დღესაც, უკვე თმაშეკერცხლილი, ღირსეულად ემსახურება ძველ საქმეს.

პატარა, თეთრბაბთიანი ქერა გოგონა ხელებზე მაგნეზიას ისვამს და ორძელს ნელი ნაბიჯით უახლოვდება. უცებ, თითქოს რაღაცამ აიტაცაო, სწრაფად ხტება და ტანი ხელყირაში ქვავდება, შემდეგ წინსვლა გადატაცით, მაღალ ძელიდან დაბალ ძელზე უკუტრიალი. ისეთი ფაქიზი, ჰარმონიული შეწყობილი და ნაზია თვითეული მოძრაობა, რომ განცვიფრებაში მოდიხართ.

თითქოს ცისარტყელის გაელვებაა... თითქოს ჩუმი ნიავია აშოლტილ ხეებს რომ ეალერსება, ნიავივით დასტრიალებს იარაღს და ვერაფერს ამჩნევს თავის გარშემო, ვერ გრძნობს მისკენ მიმართულ ფოტოაპარატსაც კი.





წუთიც და ლამაზი დახტომი. ახლა შეგიძლიათ დააკვირდეთ პატარას დაღლილ სახეს, შუბლი ოფლის წვეთებით დაწინწკვლია. იგი იღიმება და კმაყოფილი უბრუნდება თავის ძველ ადგილს.

მხოლოდ მწვრთნელი ემა ქოვლიევა არ არის მთლად კმაყოფილი. ის, რაც გამოეპარა მაყურებლის თვალს, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მისთვის.

— ამართასვლა ზუსტად უნდა გააკეთო, დონარა,—ეუბნება იგი მე-12 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს დონარა ჯანუყაშვილს,—უკუტრიალიც არ იყო მთლად სწორი. დაუკვირდი და ნუ ღელავ.

მართლაც საკვირველია... დონარა ჯანუყაშვილი მხოლოდ 13 წლისაა და უკვე ოსტატის პროგრამით გამოდის სპორტულ ტანვარჯიშში, წვრთნა კი მხოლოდ 1955 წელს დაიწყო, იმ წელსვე ჩააბარა მან III და II თანრიგი. 1957 წელს 11 წლის გოგონა საქართველოს ჩემპიონი გახდა უფროსთა შორის (I თანრიგი). როცა მის ვარჯიშს უყურებთ, სტკბებით და გაოცებთ მისი სითამამე, თითქოს სრულებით ვერ გრძნობს ტანის სიმძიმეს.

დონარა მეათეკლასელმა მედეა სიბაშვილმა შესცვალა. ისიც ოსტატთა ვარჯიშს ასრულებს.

ყოველი დღე ახალი მიღწევებითა და წარმატებებით აღინიშნება თბილისის განათლების განყოფილებასთან არსებულ ტანმოვარჯიშეთა ცენტრალურ სკოლაში, რომელსაც სპორტის ოსტატი მიხეილ იმნაძე ხელმძღვანელობს.

ჩვენს წინ მხატვრულად გაფორმებული საპატიო წიგნია, რომელიც საუკეთესო მწვრთნელთა და მოსწავლეთათვის არის შემოღებული.

ნიკოლოზ მახვილაძე... კონსტანტინე გრომოვი, ნოდარ ბახუტაშვილი, ემა ქოვლიევა.—აი, ისინი, რომლებმაც ძალა და ენერგია არ დაიშურეს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული ტანმოვარჯიშეები აღეზარდათ.

აქ მიიღო თავისი პირველი სპორტული ნათლობა მსოფლიოში ცნობილმა სპორტსმენმა მზია ჯუღელმა, სპორტის ოსტატებმა: დოდო ციხითათრიშვილმა, ვახტანგ კულუმბეგაშვილმა, ნოდარ მაკალათიამ, ალექსანდრე ნარიმანოვმა, ტატიანა კომისარენკომ.

დღეს ამ სკოლის მოსწავლეები არ ღალატობენ «ძველების» მიერ გაკვალულ გზას. მათ პირველი ადგილი უკავიათ საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა შორის. სამი წელია არ ჩამოდის გამარჯვებულის კვარცხლბეკიდან, არ იხდის ჩემპიონის წითელ მაისურას ჩვენი საყვარელი მზია ნინოშვილი. უყურებთ მათ და უნებურად იმეორებთ გამოჩენილი რუსი მწერლის ჩეხოვის სიტყვებს: «ისინი მომავლის ადამიანები არიან და მოვა დრო, როცა ყველა ასეთივე ძლიერი იქნება. ამაშია ქვეყნის ბედნიერება.»

ლია თევზაძე.

უბრალოდ დაიწყო...

ქეთევან დეისაძე

შუაღამეს კარგახანია გადასცდა. სოფელში ამდროს მეორედ იყივლებდა მამალი... ქალაქს კი ჯერ ისევ ღვიძავს, საქმობს, ხმაურობს.

სინათლის ვიწრო ზოლი გამოკრთის ნინო ხათრიძის სამუშაო ოთახის ფანჯრიდან. დროდადრო მაღალი სილუეტი ამაღლებს ამ ზოლს. ეს იმ დროს, როცა ქალი მთელი სხეულით გადაიხრება მაგიდაზე რვეულების გადმოსაღებად. არ უყვარს სახვალიოდ გადადებული საქმე, თან ჩქარობს, სხვა სამუშაოც აქვს ხვალისათვის მოსამზადებელი—ისეთი სერიოზული, გადაუდებელი... ნინოს მზერა მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ ბუთხუზა გოგონას პორტრეტისაკენ გასხლტა. ეს წლინახევრის ნინუკია, ერთადერთი ასული ხათრიძიანთ მრავალრიცხოვან ოჯახში. შვილი ხომ საყვარელია, შვილისშვილი ორმაგადაო—ახლა შეიგრძნო ჭაღარა ნინომ ეს ჭეშმარიტება.

ვაჟიშვილებმა იმედი «არ გაუმართლეს» მშობელს. არჩილი მკურნალად სურდა აღეზარდა, თავი ქვას შეუშვირა, ისევ «ინტეგრალებისაკენ« გადაიხარა, დედის და მამის კვალს გაყვა. უმცროსს არც ქვა აუგდია და არც თავი შეუშვერია, თქვა ფიზიკოსი გამოვალო და შეასრულა კიდეც. არჩილის პატარა ვაჟი, დიმიტრი მხოლოდ მეხუთე კლასშია, მაგრამ არც იმას უჩანს «საექიმო პირი», მეცადინეობას გადარჩენ ღ საათებს ფიზიკის ამოცანებზე ვარჯიშს ანდომებს.

... ხანდახან ნინო სათვალეებს შუბლზე აიწევს, სათნო, მომღიმარი თვალები ოცნებით დაებინდება და ფიქრში წასული ხედავს თეთრებში მორთულ შავგვრემან ასულს, ყურადღებით რომ დაფუსფუსებს დიდედას ოთახში, გულს, ფილტვებს, წნევას უსინჯავს, თან კმაყოფილი იღიმება:—საოცრად ჯანმრთელი ქალია ჩემი ბებიკო, საოცრად ჯანსაღი!

* * *

ორად იტოტებოდა ნინოს ცხოვრების ბილიკი, ერთი რომ წინ მიიწევდა, ახალახალი წარმატებებით ივსებოდა და ფართოვდებოდა, მეორეს ლეგა ღრუბლები ფარავდა, ჩრდილი ეფინებოდა, ნინოს არ სურს შავი დღეების გახსენება, არ უნდა ცხრაასხუთის, მენშევიკების ბატონობის, სამამულო ომის საშინელებათა მოგონება.

— ნურც გაგვეგონოს ხელმეორედ, რამდენი შვილი დამეღუპა, რამდენი ვაჟკაცი,—ნინო ცრემლს ვერ იმაგრებს, ჩვილი ბავშვის გული ჰქონია ჭაღარა მანდილოსანს. შარშანაც, შეხვედრა რომ მოუწყეს აღმზრდელებს ომგადახდილმა «ნამოწაფარებმა», თვალი ვერ გაუსწორა ცარიელ მერხებს. მერე როგორ კარგად ახსოვს ვინ სად იჯდა, რომელ მერხზე. ...ომმა წაართვა შვილივით ნასათუთევი ვაჟკაცები...

მისი ცხოვრება სადად და უბრალოდ დაიწყო, ისევე, როგორც ყოველი ღარიბი ქალიშვილის... ვისთვის არ იყო ცხოვრება დუხჭირი მაშინ... გაჭირვებას გაექცა ქუთაისიდან ხათრიძიანთ ოჯახი. ტყიბულში უარესი ელოდა...

ადრე გატეხა ჯაფამ ოჯახის დედაბოძი, მალე სულ მთლად გადაიტანა. ცოლი ქმრის დარდს გადაყვა. დარჩა ოთხი ობოლი—ერთმანეთისა და კეთილი ხალხის შემყურე, სხვების სიკეთემ ვერ უშველა, უფროსმა და-ძმამ გაინაწილა უმცროსების ზრუნვა-პატრონობა.

13 წლის ნინო დამ ისევ ქუთაისში ჩამოიყვანა. უდედობა არ აგრძნობინა სათნო დედაკაცმა ობოლ დას. თვითონ სწავლას მოწყურებულმა, თავისი კეთილი მეუღლე დაიყოლია და ქუთაისის ქალთა გიმნაზია დაამთავრებინა. ნინო მათემატიკის მასწავლებელი გახდა.

მას შემდეგ მთიდან დაცურებულ მეწყერივით დაიძრა ნინო ხათრიძის ცხოვრება, ჯერ

თბილისის ოთახები

დახლთან თმაშევერცხლილი ქალი დგას. ის მე არ მიცნობს. მე კი უკვე დიდიხანია თვალს ვადევნებ და ვფიქრობ—გამოდგება თუ არა იგი ჩემი ნარკვევის გმირად...

..მთელი დღის განმავლობაში არ ცხრება, მოედინება ხალხის ნაკადი თბილისის მთავარი უნივერმაღის დარბაზებსა და სალონებში. ადამიანები მოდიან, თხოულობენ საქონელს, სინჯავენ, ზომავენ, ყიდულობენ, ან შეიძლება უკმაყოფილონიც შორდებიან დახლს... მოდის მრავალნაირი ხალხი, მოდის სხვადასხვა სპეციალობის, გემოვნებისა და მოთხოვნილების ადამიანი—მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი...

ყველას აქვს საკუთარი პატარა თუ დიდი სამყარო, თავისი ბედნიერებითა თუ უბედურებით, ტკივილებითა და სიხარულით. ყველას უნდა გამოელაპარაკო, პასუხი გასცე, ურჩიო, შესთავაზო მრავალნაირი საქონელი და კმაყოფილი გაისტუმრო...

ერთი შეხედვით, ადვილია. თითქოს არაფერია რთული და დაუძლეველი, მაგრამ, აბა, უფრო ახლოს, უფრო გულისყურით შეხედეთ გამ-

სოფლის მასწავლებლობა: დარჩელი, ნოსირი, შემდეგ ფოთი, აქ უკვე სკოლის გამგის მოადგილეობა. კვლავ ქუთაისი—სკოლა, განათლების განყოფილება, ფიზიკა-მათემატიკის კაბინეტი. 1923 წლიდან არ მოცილებია ნინო მშობლიურ ქალაქს. არც შეეძლო უმისობა. ყველაზე უკეთ ის ატარებდა სანიმუშო გაკვეთილებს დამწყები მასწავლებლებისათვის, ადგენდა ფიზიკა-მათემატიკის პროგრამებს საშუალო სკოლებისათვის, ზრუნავდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის... სხვასაც ასწავლიდა, თვითონაც სწავლობდა, 1948 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

არა იმიტომ, საგნის შეუდარებელი მცოდნე რომ არის, არც იმის გამო, ყველგან მისი ხელი რომ ურევია—სასკოლო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არც იმისათვის, ბევრი სიგელი, მედალი, მთავრობის ჯილდო რომ აქვს მიღებული, მკერდს ლენინის ორდენი რომ უმშვენებს—მის ქალობას, მის გულისხმიერებას შენატრის მთელი ქალაქი. პირველად რომ ირჩევდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ეს 1951 წელს იყო, შორს დაიჭირა—რა ღირსი ვარ ამოდენა პატივისაო. საქმემ წამოსწია, კეთილად წარმართულმა საქმემ... იგრძნეს ქუთაისელმა მშრომელებმა ქალის გამრჯე, მარჯვენა, დაუშრეტელი ენერგია. უმაღლეს საბჭოში ამაზე უკეთესს ვისღა ვისურვებთო—კვლავ განაცხადეს 1955 წლის თებერვალში.

გაიწია ნინო ხათრიძემ, გაიწია და მერე როგორ? მთელი ქალაქის ახალგაზრდობაც თან გაიყოლია... მისი ინიციატივით იყო ახალი საავადმყოფო რომ ააგეს, წყალსადენის მილები რომ გაიყვანეს, ქუჩები მოაასფალტეს, გააშენეს, ააყვავეს სავარდო და სამაისო ქუთაისი. ქუთაისელთ ახლა რა დაამაგრებდათ—კვლავ აირჩიეს ნინო ხათრიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

* * *

უკანასკნელი რვეულიც გულმოდგინედ გადაათვალიერა, სადღაც მიმატების ნიშანი ჩაამატა, შემთხვევით გამორჩენილი უცნობი შეიცნო, აღნიშნა, შეასწორა, შეალამაზა. შემდეგ ფრთხილად წამოდგა, ბავშვის საძინებელს დააყურა: თანაბარი, უმანკო ფშვინვა რომ შემოესმა, საწერი მაგიდის უჯრიდან ზღაპრების ლამაზყდიანი გამოცემა ამოიღო: «გაექცა მონადირეს ქურციკი... დიდხანს სდია, სდია... ერთ გამოქვაბულს მიადგა, შესასვლელი ვერ უპოვა. ჯადოსნური სიტყვა ახსოვდა მონადირეს. ახსენა. გადაიხსნა კლდემ გულმკერდი... რამდენი სიმდიდრე, თვალმარგალიტი ნახეს მისმა თვალებმა!»

ტკბილად ძინავს ნინუკის, თანაბარი რხევით ადი-ჩაუდის ნორჩი გულმკერდი. ზოგჯერ ეშმაკური ღიმილი გაკრთება კუდრაჭას მთვარესავით ნათელ პირსახეზე, ვინ იცის, შეიძლება ამ დროს სიზმრად ხედავდეს როგორ ამზადებს, იზეპირებს საყვარელი ბებიკო მისთვის განკუთვნილ ხვალინდელ «გაკვეთილს».

რას იფიქრებდა ღვაწლმოსილი მათემატიკოსი, ზღაპრებით თუ დაიწყებდა «დოსტატებას» რიტორიკაში?!

ფოტო ო. ბერეჩიკიძის

ყიდველს, დადექით დილიდან საღამომდე დახლთან და მუხლჩაუხრელად ემსახურეთ მოქალაქეებს, გაეცით პასუხი ამდენ ხალხს!..

— თქვენ რა გნებავთ? ახლავე მოგართმევთ... ათი ნომერი სატუცავი? გვაქვს. აი, ინებეთ... წაიღეთ, თუ არ გამოგადგებათ, დავიბრუნებ და გამოგიცვლით...

...დაბალი ხმით ლაპარაკობს. თვალებს გულისყურით მოგაპყრობს, მოძრაობა არაჩვეულებრივად მშვიდი და გამოზომილი აქვს. ყველაზე მიზეზიან მომხმარებელსაც ვერ გამოჰყავს მოთმინებიდან, ვგონებ, უკვე მეათედ გადმოუღო სატუცავი: ამას ცხვირი აქვს განიერი, ამას ისეთი ზოლები არ დასდევს, როგორიც საჭიროა...

გამყიდველი მოთმინებით ურჩევს, ღიმილით სთავაზობს ერთს, მეორეს, მესამეს... ბოლოს ჭირვეული მოქალაქეც ლამაზი შეკვრით შორდება დახლს...

არც ერთი მომხმარებელი არ გაუშვა უკმაყოფილო.

არის ერთი თავმდაბალი და მორიდებული ქალი, უბრალო ადამიანი, დახლის მუშაკი—მარიამ გნოლიძე!

რა სწრაფად გაირბინეს წლებმა! აი, უკვე ოცდაათი წელია სავაჭრო დარგში მუშაობს და გუშინდელივით ახსოვს, პირველად რომ დადგა დახლთან. შრომასა და გარჯაში შეუმჩნევლად გაიარა ახალბედობის ხანამ. ახლა ყველა იცნობს უნივერმაღში მარიამ გნოლიძეს, იცის მისი მუყაითი, გამრჯე, უანგარო მუშაობა. შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, გულისხმიერი, კარგი მეგობარი—ასე ახასიათებენ მას კოლექტივში, ამიტომ მოჰყავთ მისაბაძ მაგალითად მისი შრომითი საქმიანობა. ამ უბრალო, თავმდაბალ ქალს საოცრად ესმის, უყვარს და სჯერა ადამიანის. დილიდან საღამომდე ასობით ადამიანი შეჩერდება მის დახლთან, გამოელაპარაკება და მარიამიც მთელი მონდომებით ცდილობს, რომ დააკმაყოფილოს, გაწბილებული არ გაისტუმროს ისინი. მან კარგად იცის, რომ ზოგჯერ უბრალო სიტყვას, ცივ გამოხედვასაც კი შეუძლია მთელი დღე მოუწამლოს ადამიანს. იცის, თვითონაც ხომ გამოუცდია. თვითონაც ხომ უყიდია და რამდენჯერ გულისტკივილით გამობრუნებულა უკან როდესაც გამყიდველს უკმეხად გაუცია პასუხი...

და არ შეიძლებოდა მის დაუზარელ შრომას ნაყოფი არ გამოეღო: მარიამს ბევრი მყიდველი ჰყავს და გეგმაც გადაჭარბებით სრულდება ყოველთვის. არ გადის არც ერთი დღე, რომ მოქალაქეები მადლობას არ უხდიდნენ და თავიანთ კმაყოფილებას არ გამოსთქვამდნენ. ყველასათვის საყვარელია ეს უბრალო ქალი. თავმდაბალმა, გულისხმიერმა შრომამ მოუხვეჭა პატივისცემა და ნდობა მშობლიურ კოლექტივში. იგი რავალჯერაა დაჯილდოებული სიგელებით, ფულით, მადლობით და მფასიანი საჩუქრებით.

— ყველა პროფესია საინტერესოა თავისთავად. არ არის დიდი და პატარა თანამდებობები, არ არიან დიდი და პატარა ადამიანები—ყველას თავისი წვლილი შეაქვს დიად საქმეში და იმიტომ, ხოლო თუ შენი საქმე უანგაროდ გიყვარს, თუ მთელი შეგნებულობითა და მონდომებით ეკიდები მას, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა ცხოვრებაში, რადგანაც არ არსებობს ბედნიერება შრომის გარეშე...—ამბობს მარიამი.

...როცა სამუშაო მთავრდება, ხალხი გაიკრიფება და ფეხის ხმა მიწყდება,—ისიც სტოვებს აქაურობას,—ჩვეული, დინჯი ნაბიჯებით ჩაივლის კიბეებს და ფიქრებით უკვე სახლშია, თავისიანებთან. იცის, ქალიშვილი სკოლის ახალ ამბებს დაახვედრებს, მოუყვება დღეს ვინ გაეჯავრა, ვის ხუთიანი დაუწერა... შოთა ახლა თავის საინჟინრო წიგნებს უზის, შალიკო კი, ალბათ, გვიან მოვა, ღამის ცვლაში მუშაობს...

ნელი ნაბიჯით მივყვებით ქუჩას. მარიამი თავისი შვილების ამბავს მიყვება და თვალებიც ახლა სხვანაირად უბრწყინავს.

...ხვალ დილით ისევ დადგება ეს თმაშეკერცხლილი ქალი დახლთან... საღამომდე მუხლჩაუხრელად იმუშავებს, ვერავინ შეამჩნევს დაღლას, ყველას თავაზიანად გამოელაპარაკება და თბილ ღიმილს შეაგებებს...

ლია მგელაძე.

ქალის ანგარიში

ნახატები გ. კასრაძის

ცოტა რამ ფერების შესახებ

არიან ქალები, რომლებიც ყოველთვის კარგად ჩაცმულნი გამოდიან. არ იფიქროთ, რომ ისინი უამრავ ფულს ხარჯავენ ჩაცმაზე და გარდერობიც სავსე აქვთ. უმეტესად ასეთ ქალებს კარგი გემოვნება აქვთ, იციან ფერების შერჩევა.

თუ ფერებში ძალიან კარგად ვერ ერკვევით, უმჯობესია ქუდის, ხელჩანთის, ხელთათმანებისა და ფეხსაცმელისთვის ერთი რომელიმე ძირითადი ფერი აირჩიოთ. ასეთებია: შავი, თეთრი, ყავისფერი, მუქი ლურჯი და ნაცრისფერი.

თეთრ ფეხსაცმელთან, თეთრ ქუდთან, თეთრ ხელთათმანებთან და თეთრ ხელჩანთასთან ზაფხულში შეგიძლიათ ყველა ფერის ან ჭრელი ტანსაცმელი ატაროთ. იგივე ეხება შავ ფერსაც. უფრო ანგარიშგასაწევია ლურჯი, ყავისფერი და ნაცრისფერი. ამ შემთხვევაში საჭიროა ახალი კაბა და ახალი პალტო შეუხამოთ ამ ფერებს.

და კიდევ: თუ შენ ფერმკრთალი ხარ, არ უნდა ატარო ისეთი ფერის ტანსაცმელი, რომელიც კიდევ უფრო გაფერმკრთალებს. ასეთებია: მწვანე, ყვითელი, ღია ნაცრისფერი და ცისფერი. თუ ფეროვანი ხარ, თამამად შეგიძლია ყველა ფერი აირჩიო, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად უნდა გაუწიო ანგარიში თმის ფერს. არც თუ ისე კარგია ქერა თმისთვის ყვითელი და, მითუმეტეს, არ მოუხდება წითელ თმას ყვითელი და წითელი ფერი.

მთავარია «რა» და არა «რამდენი»

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სავსე გარდერობს. შენ შეგიძლია რამდენიმე კაბითაც იოლად გახვიდე, თუ მიზანშეწონილად შეიკერავ მათ.

თუ იკერავ შავი ან მუქი ფერის კაბას, ეცადე ისეთი ფასონი შეარჩიო, რომ შეიძლებოდეს ზედა და ქვედა ტანის ცალ-ცალკე ხმარება. ქვედატანი შეიძლება კოფთით ან ჯემპრით შეავსო. ასევე შეიძლება სხვა ქვედატანზე ან კოსტუმთან შავი ზედაწელის ხმარება.

დეკოლტის შესახებ

ახლა მოდაშია საკმაოდ ღრმად ამოჭრილი დეკოლტე, მაგრამ სანამ გადაწყვეტდეთ კაბაზე დეკოლტის გაკეთებას, კრიტიკულად დაათვალიერეთ თქვენი ყელ-კისერი სარკის წინ. თუ გამხდარი კისერი გაქვთ და ლავიწის ძვლებიც ცოტა არ იყოს ამოცვენილი, უმჯობესია უარი თქვათ დეკოლტეზე. ხომ არის ისეთი კაბები, თუნდაც ზაფხულის, რომელიც ღრმად არის დახურული, მაგრამ ელეგანტურობით არ ჩამოუვარდება დეკოლტიან კაბას. ასეთი კაბა ამავე დროს ოსტატურად დაფარავს თქვენს ნაკლსაც.

თუ ყელი სავსე გაქვთ და მკერდზე ძვლები არ გიჩანთ, შეგიძლიათ თავისუფლად იხმაროთ დეკოლტე. მაგრამ აქ ყურადღება სხვა რამეს უნდა მიაქციოთ: თუ ჩასუქებული, განიერი მხრები გაქვთ, უნდა ერიდოთ ოთხკუთხა, ფართო ამოჭრილს. ეს თქვენ უფრო მხრებგანიერს გამოგაჩენთ, მითუმეტეს, თუ დაბალიც ხართ.—უფრო დაბალსაც. სიგრძეზე გაწეული ოთხკუთხი ან სამკუთხი ამონაჭერი ყველაზე შესაფერისია თქვენთვის.

ერთიც, დაუშვებელია დაბალ კისერზე მაღალი საყელოს ტარება, ეს კიდევ უფრო ადაბლებს ყელს.

მეტისმეტად გამხდრებზე...

თუ გინდათ ცოტა მსუქანი გამოჩნდეთ, ერიდეთ ძალზე ვიწრო კაბებს. წელთან დაყრილი ნაოჭი შესამჩნევად ამსხვილებს ტანს, როგორც სწორ, ისე კლოშ კაბებზე. ასევე მნიშვნელობა აქვს ქსოვილის ფერსა და ნახატს. მუქი ფერი აწვრილებს ტანს, ღია ფერი კი—პირიქით: ზოლებიანი ქსოვილი გამხდარმა ისე უნდა შეიკეროს, რომ ზოლები კაბას განივად მიყვებოდეს, თუმცა აქ კიდევ ერთ რამეს უნდა გაეწიოს ანგარიში: ასე შეკერილი კაბა ადაბლებს კიდეც და პატარა ტანის ქალებისთვის ის მიზანშეწონილი არ არის.

საერთოდ, გირჩევთ კაბაზე არშიებისა და ვოლანების გამოყენებას. კარგია კიდევ, თუ კაბის ქვეშ სპეციალურ ქვედა კაბას იხმართ.

... და მეტისმეტად მსუქნებზე

აქ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო. დაუშვებელია ფართო, ნაოჭიანი კაბების ტარება. უკიდურეს შემთხვევაში ნაოჭიანი კლოში შეიძლება თეძოებს ქვევით იწყებოდეს. ეს ფარავს ტანის ქვემო ნაწილის ნაკლს.

საუკეთესოა მსუქანი ტანისათვის კოსტუმი, რომელიც შედგება არც თუ ძალიან ვიწრო სწორი კაბისა და თეძოებამდე დაშვებული სწორი ჟაკეტისაგან.

ქსოვილის ფერსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უმჯობესია მუქი, სადა ქსოვილის არჩევა. მსუქანმა ქალმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატაროს ფართო სახეებიანი ან ძალიან ღია ფერის ქსოვილი. მათ შორის განსაკუთრებით ვარდისფერი და ღია ნაცრისფერი ადიდებს ტანს.

არ დატვირთოთ კაბა თეძოებზე ან მკერდზე ნაკეცებით ან ნაოჭით. ეს კიდევ უფრო გაგამსხვილებთ. უმჯობესია სადა ფასონის შერჩევა. ზოლიანი ქსოვილისაგან შეკერილ კაბაზე ზოლები სიგრძივ უნდა მიყვებოდეს, ამასთან უნდა ერიდოთ მეტისმეტად ფართო ზოლებს.

რიგრი დაჭირნინდნენ ცეცხლი და წყალი

ზღაპარი

ავაზაკ ცეცხლს თავდავიწყებით შეუყვარდა გულცივი წყალი და განიზრახა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ შიშობდა; ვაი, თუ წყალმა ჩამაქროს, ან კიდევ მე დავაშრო წყალიო. ვისაც არ მიმართა რჩევისათვის, ყველასაგან ერთი პასუხი მიიღო:

— სულელურ აზრებს თავი გაანებე, რა შენი შესაფერია წყალიო.

დანაღვლიანდა ცეცხლი, სევდამ მოიცვა იგი და ქარს შეუერთდა, ხანძრად მოედვა ტყეებს, ფაფარაყრილი ანადგურებდა არემარეს და გავარვარებული ენებით ლოკავდა კარმიდამოს.

გზაზე ადამიანი შეხვდა და მას ცეცხლი ფეხქვეშ ჩაუვარდა:

— ადამიანო, ვიცი, შენ ყოვლისშემძლე და გონიერი არსება ხარ, მასწავლე, რა გზას დავადგე, მინდა თავი გავანებო თავაწყვეტილ ცხოვრებას და ჩემი კერა შევქმნა. ნარნარი წყალი შემიყვარდა და არ ვიცი როგორ შევირთო ისე, რომ წყალმა მე არ ჩამაქროს და მეც კიდევ წყალი არ დავაშრო.

— ნუ ჯავრობ, ცეცხლო, მოვიფიქრებ რამეს და სურვილს შეგისრულებ,—ანუგეშა ადამიანმა. მერე იფიქრა, იფიქრა და კოშკი ააგო. მოუხმო წყალსა და ცეცხლს. სტუმრებიც მოიწვია საქორწილოდ. მოვიდნენ ცეცხლის ნათესავები—ელვა და ვულკანი. რადგან ცეცხლს ამ ქვეყნად მეტი არავინ ყავდა ახლობელი. წყლის ნათესავებიდან კი კოშკს ესტუმრნენ სქელი ნისლი, ალმაცერა წვიმა და თვალციმციმა ცვარნამი.

— სად გაგონილა, ოსტატო, წყალმა და ცეცხლმა ერთად იცხოვრონ?—უსაყვედურა ვულკანმა ადამიანს,—პირველად მესმის ასეთი რამ.

— ჩვენს საგვარეულოში არ ყოფილა შეეთხვევა წყალი ცეცხლს გაყოლოდეს, საოცარი ამბავია,—უკმაყოფილება გამოსთქვა ნისლმა.

— ნუ აღელდებით,—დაამშვიდა ადამიანმა სტუმრები,—ახლავე მოგახსენებთ რაშია საქმე. აი, მაგალითად, ალმაცერა წვიმას და ცეცხლოვან ელვას დაბადების დღიდან ერთ ღრუბელში აქვთ თავშესაფარი და ბედს არ უჩივიან.

— ეს კი ასეა, მაგრამ მე ვიცი, სადაც ცეცხლია, იქ თბილა და მე კი სითბო ნაფლეთებად მაქცევს,—არ ცხრებოდა ნისლი.

— როგორც კი სითბო ოდნავ გვერდს გამკრავს მე მაშინვე ვშრები, ვაი, თუ ცეცხლმა მთლიანად დააშროს წყალი.—წაიჩურჩულა ცვარნამმა.

— მე ისეთი კოშკი ავაგე, სადაც წყალსა და ცეცხლს ერთსულოვნად და განცხრომით შეუძლიათ იცხოვრონ. აბა, რაღა ოსტატი ვარ!—მიუგო ადამიანმა.

სტუმრები ქეიფს შეუდგნენ—ალმაცერა წვიმამ ელვა გულში ჩაიკრა და საცეკვაოდ გაიტაცა. გულზვიადმა ვულკანმა ამაყად გააბოლა ჩიბუხი და ცვარნამს ნაზად ჩაჰხედა თვალებში.

შვიდი დღე და შვიდი ღამე ქეიფობდნენ სტუმარ-მასპინძლები, მერვე დღეს სტუმრები დაიშალნენ და ღვინომორეული, მთვრალი ნისლი ზლაზვნით ჩაესვენა ხევში. ადამიანმა წყალსა და ცეცხლს თვისი ადგილი მიუჩინა, შეხმატკბილებული ცხოვრება უსურვა, კარი მაგრად გამოუკეტა და წავიდა.

გავიდა დრო. წყალს ცეცხლისაგან გოლიათური სიმძლავრის ვაჟი შეეძინა, მხურვალე და შეუპოვარი, როგორც ცეცხლი, დინჯი და სველი, როგორც წყალი, მოთეთრო და მსუბუქი, როგორც ნისლი, ზვიადი და უძლეველი, როგორც ვულკანი, მოქნილი და სწრაფი, როგორც ელვა. მას სახელად ორთქლი უწოდეს.

ახლა ყველა ახლობელი იცნობს ორთქლს, ყველა ხედავს მასში ნათესაურ მსგავსებას: როდესაც ორთქლი ცივდება და წყლის წვეთებად იფრქვევა, მას წვიმა და ცვარნამი ეპატიჟებიან:—ჩემთან მოდიო.

ჩაძვრება ორთქლი ურემზე მოთავსებულ დიდ ქვაბში, ურემს რამდენიმე ათეულ ვაგონებს მიაბამენ და მიგრიალებს მატარებელი.

ჯადოქარი ორთქლი ხომალდზე შეადგამს ფეხს, იალქნები ზედმეტად გრძნობენ თავს და მორცხვად იკეცებიან, რადგან ხომალდი ქარის დაუხმარებლად მისრიალებს წყალსა და სივრცეში და მიაპობს ბობოქარ ზვირთებს, ორთქლი ხომალდში მყოფ მეზღვაურებს ათბობს, ორთქლის საყვირი კი შიშისზარსა სცემს ზღვის ვეებერთელა ცხოველებს.

ყველგან სიხარულით ეგებებიან ორთქლს. აი, ქარხანას ეწვია—მანქანის უზარმაზარი ბორბლები ელვისსისწრაფით დაატრიალა. წისქვილში ხორბალი და სიმინდი დააფქვია. ფაბრიკებში ჩითი და მაუდი მოქსოვა, სადაც ასი კაცი მუშაობდა ერთი დატოვა და სხვებს თავმდაბლად გაუღიმა: თქვენს მაგიერ მე ვიმუშავებო, მინდა ხალხს სარგებლობა მოვუტანოო.

დღემდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობენ წყალი და ცეცხლი კოშკში—დახურულ ქვაბში, არც წყალს ჩაუქრია ცეცხლი და არც ცეცხლს დაუშრია წყალი. ხოლო მათი საამაყო ვაჟის—ორთქლის ძალა და ოსტატი ადამიანის დიდება დღითიდღე იზრდება.

რუსულიდან გადმოაკეთა როზა თავდიდიშვილმა.

ქათმის ხარჩო ნიგვზით

ასო-ასო დაჭრილი ქათამი ქვაბში მოათავსეთ, შედგით ცეცხლზე და მოშუშეთ, შემდეგ ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი და ხრაკეთ ხორცის შეწითლებამდე. გრილ ნადუღარ წყალში ალესეთ 1-1 1/2 ჩაის ჭიქა დანაყალი ნიგოზი (ნიგვზის ნორმა შეგიძლიათ შეამციროთ და დაუმატოთ 1 სუფრის კოვზი გამტკეცილი სიმინდის ფქვილი), წინასწარ ცალკე ქვაბში მოხარშული და საცერში გატარებული პამიდორი (პამიდვრის მაგივრად შეიძლება აიღოთ კვაწარახი ან ძმარი გემოვნების მიხედვით), წვრილად დაჭრილი ოხრახუში, დანაყილი ქინძი (გემოვნებით) და დაასხით მოხრაკულ ხორცს ისე, რომ დაიფაროს, ადუღეთ, ვიდრე ხორცი არ მოიხარშება. ამის შემდეგ დაუმატეთ შეგრილებულ ცოტა წვენში გახსნილი სანელებელი: თითო ჩაის კოვზი—დანაყილი იმერული ზაფრანა, ქინძის თესლი, სუნელი. გემოვნების მიხედვით—დანაყილი წიწაკა, ნიორი და მარილი და ხარშეთ კიდევ 7-10 წუთი.

შემწვარი თევზი ბროწეულის საწებლით

გასუფთავებული, გამოშიგნული, გარეცხილი 1 კგ წვრილი მთელ-მთელი თევზი კანგაუცლელად შეწვით კეცზე ან ზეთში ცხელ ტაფაზე. ბროწეულიდან გამოწურეთ 1-1½ ჩაის ჭიქა წვენი, დაუმატეთ ერთად დანაყილი ნიორი, ქინძი, წიწაკა, მარილი (გემოვნებით) და აურიეთ.

შემწვარი თევზი ლანგარზე დაალაგეთ, ზემოდან დაასხით ბროწეულის საწებელი, მოაყარეთ წმინდად დაჭრილი ხახვი და ერთი ბროწეულის მარცვლები. თუ ბროწეულის წვენი ძალიან მჟავე მოგეჩვენებათ, გააზავეთ გემოვნებით ცივი წყლით.

ეკალა ნიგვზით

1 კგ ეკალა გაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაყარეთ მდუღარე წყალში და მოხარშეთ. მერე წყალი გადაწურეთ, დაასხით ცივი წყალი, ისე რომ ფარავდეს, გააჩერეთ 40-50 წუთი და ხელით გაწურეთ.

დანაყეთ 1-1½ ჩაის ჭიქა ნიგოზი, 4 ძირი ქინძი, 2-3 კბილი ნიორი, მიუმატეთ გემოვნებით — ძმარი, მარილი, წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა, ომბალო, ყველაფერი ეს აურიეთ მოხარშულ ეკალაში, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა. ძმრის მაგიერ შეგიძლიათ შეაზავოთ ისრიმის წვენით ან გამოხდილი ტყემლით, კარგია, თუ ნიგოზს დანაყვის დროს გამოხდით ზეთს და მზა კერძს მოასხამთ.

ნადუღი პიტნით

სველი ანუ შრატი (რძიდან ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი წვენი) დადგით ქოთნით ნელ ცეცხლთან, ადუღეთ 2-3 საათის განმავლობაში. გაცივების შემდეგ გადაწურეთ, დარჩენილი ნადუღი მოათავსეთ სუფთა ტილოს პარკში და დაკიდეთ, რომ დაიწუროს. გაწურული ნადუღი სუფრაზე მიტანის წინ შეაზავეთ ადუღებული ცივი რძით (იგი არაჟნის სისქის უნდა იყოს) და გემოვნებით—მარილთან ერთად დანაყილი პიტნით.

ტარანი ტყემლით

გასუფთავებული, გარეცხილი ტარანი დაალბეთ ცივ წყალში რამდენიმე საათით. შემდეგ მთელ-მთელი შეწვით ან მოხარშეთ, დაჭერით ნაჭრებად და შესაფერ ჭურჭელზე მოათავსეთ. ჩაყარეთ ქვაბში ტყემალი, დაასხით იმდენი წყალი, რომ ოდნავ ფარავდეს და მოხარშეთ, შემდეგ წვნიანად გადაიტანეთ თუშფალანგზე და გახეხეთ. მიღებული საწებელი გემოვნების მიხედვით შეაზავეთ ერთად დანაყილი ქინძით, წიწაკით, ომბალოთი, ნივრით, მარილით და წვრილად დაჭრილი კამით. საწებელი შეგიძლიათ მოასხათ ტარანს ან ცალკე ჭურჭლით მიიტანოთ სუფრაზე.

ბრინჯულა

ოდნავ მარილიანი წყალით მოზილეთ პურისფქვილის თხელი ცომი (ისეთი, როგორც ოლადისათვის), შემდეგ დაასხით ცხელ დიდ ქვის კეცზე ორი თითის სისქეთ, თანაბრად მოაყარეთ ხელით დაფხვნილი უმარილო ყველი, ზემოდან დააფარეთ თუნუქის ნაჭერი, დააყარეთ ზედ ნაკვერცხალი, ცხელი ნაცარი და გამოაცხვეთ. ბრინჯულა შეიძლება გამოცხვეს ღუმელშიც, გვერდებიან თუნუქის ფურცლებზე.

ღვეძელი

ნახევარი ლიტრი რძით, ნახევარი ჩაის კოვზი მარილით და პურისფქვილით მოზილეთ საშუალო სისქის ცომი. 600-700 გრ. უმარილო ჭყინტი ყველი (ნორმები ნავარაუდევია ორი ღვეძელისათვის) ხელით დაჭყლიტეთ. მოზელილი ცომი გააბრტყელეთ, დადეთ ზედ წინასწარ გამზადებული ყველი და შეასწორეთ, რომ ცომზე თანაბარ ფენად მოთავსდეს ყველი უნდა ფარავდეს გაბრტყელებული ცომის ნახევარს). მერე ამ ყველზე მწკრივად, ლამაზად დააწყვეთ შუა-შუა დაჭრილი მაგრად მოხარშული ხუთი-ექვსი კვერცხი, ისე რომ კვერცხის გაჭრილი მხარე ყველზე მოთავსდეს. ამის შემდეგ ცარიელი უყველო ცომი გადმოკეცეთ, დააფარეთ ყველ-კვერცხიან ცომს, მიეცით ოვალური ან ნახევარმთვარისებური ფორმა და კარგად ჩაუკეცეთ, რომ შიგთავსი გამოცხობის დროს გარეთ არ გამოვიდეს. ასეთნაირად გამზადებული ცომი მოათავსეთ გახურებულ ქვის კეცზე, ზემოდან დააფარეთ თუნუქი, დააყარეთ ნაცარნარევი ნაკვერცხლები და გამოაცხვეთ.

გარეკანზე — «გაზაფხული».

ნახატი ლ. შენგელიასი.

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IV-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფორმათა რაოდენობა 3,5.

რედაქციის მისამართი სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. **ფასი 3 მან.**

შეკვეთის № 365. უე 02414.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".

Издательство ЦК КП Грузии.

მაყვალა მრევლიშვილი

გაზაფხულის ეტიუდები

ყინულს დააცხრა
უცბად ცხელი მზე,
გადაირივნენ ნაკადულები,
წყალზე გამოჩნდნენ თვალახელილზე
ხეები მწკრივად ჩახატულები.
რიგი ზემოდან,
იგივ—ქვემოდან,—
რომელი უფრო ნამდვილი არი!..
ზეცა ჩემს ფეხთით
მოირხეოდა
ქულა ღრუბლების მანდილიანი.

* * *

ლაპლაპებს სველი
მზის სალესავით
წმინდა წყალი, და
გადნა ყინული.
ანკარა ფსკერზე, შიგ სარკესავით
მოჩანს ტირიფი გადაკიდული.
გაოცებული
თავისთავს უმზერს
ქართა თარეშით სულგაყიდული.
წყალს კი ყოველთვის ეხატა გულზე,
ოღონდ
თიშავდათ გულქვა ყინული.

* * *

რა უანგაროდ, რა დიდებულად
ხატავ, შიგ გულში რაც დაგეჯახა,—
ეს ცა რომ შენგნით გაორებულა,
და თვითონ შენ კი
აღარსად ჩანხარ.
რა ერთგული ხარ, წყალო ანკარა,
აი, მიწაც ხომ შეჰყურებს ზეცას, .
ბევრიც ეცადოს, შესძლებს ამგვარად
ასახოს მისი ფერიც და მზეცა?!
ეგებ სიყვარულს ვერ გადაურჩი,
თვალი მის მზერას მიეხარბება...
ეგება
ერთხელ ჩაგიკრა გულში
და ზედ დაგაწერა მისი ხატება!
«თავს განაცვლებო» — ამასა ჰქვია
როგორ პირწმინდად გადაგიხატავს!
გული რომ ცისთვის გადაგიხსნია
ნეტავ
რიღათი
გადაგიხადა...



გაზაფხული ბორჯომის ხეობაში

ფოტოეტიუდი თ. არჩვაძის

6.85/108